 შინ მივა ნელი გალობით.

სდუმან ავლაბრის სახლები;
 გამკრთალდა მთვარეც გვიანი;
 მას არეინ არ ეახლებმა,
 ბრუნდება ნათელ მზიანი.

არსენას ცხენის ჭენება
 კიდევ მოისმის შორიდან;
 როცა მზე ჩაესვენება
 ამბავი მოვა გორიდან:

„ატლასის ფარჩა ნაქარგი
 მინდა გშევროდეს კაბათა;
 თუ შენ არსენა დაქარგი—
 ატარე მისსა ამბათა.

ასახობრებლათ წავსულვარ
 მსუქან, ფაშვიან ვაქართა;
 ავ თვალთ არ დავნავსულვარ
 არ ვდარდობ რაც დამემართა!

ბორკილის სისხლის დაღები
 მალამოთ მომირჩენია,
 და ციხის ბნელი თაღები,
 არსენას ტყვილათ ელიან.

გულს მიდევს შენი ბაღდადი;
 გორიდან მცხეთას ვაპირებ;
 თუ ვიქენ ისევ ნაღდათა
 ბოდბისხვეს გავინაპირებ.

თუ სასიკვდილოთ დავიჭერ,
 თუ ჩემი მკლავი წახთვისა,
 წითელ კვერცხს ველარ დავიჭერ,
 ჩემი სიზმარიც ახთვისა“.

თინათინ კაბას აჩქარებს
 არსენას ვასახართა;
 მთვარესაც კი არ აკარებს
 ჭქარავას, დამიღრის წყნარადა.

არ დარდობს; სჯერა ვეფხოზა
 გულ მკერდის, ფართე მხრებისა!
 არსენა არ დაემბობა,
 არა აქვს რიდი მტრებისა;

მაგრამ რა ნისლით მოცულა
 მუხათ გვერდისა ჭაღები!
 თინათინ ჩუმათ ლოცულობს,
 სტირიან ფართე თვალები.

მკლავებზე დიეყვინება,
 სიზმარსაც ნახავს მწვარესა;
 ხედავს:—სანთლები ინთება
 აკლდება შუქი მთვარესა;

მოაქვთ მცხეთისა მხარიდან
 ყაჩაღებს შვენაბდინებს
 მკვდარი არსენა მხართა,
 შორი გზით დანაგვიანებს.

წვერები სისხლით დასვრია,
 და ველარ აღებს თვალებსა;
 გულში ხანჯალი ასვია,
 აქცევს სისხლისა ლვარებსა;

მისი უღვაში გრეხილი
 ბაღდალით დაუხურიათ;
 და ხმალი ვადატყვილი
 ვაქარსა მოაქვს ჟურიას.

თინათინ წამოვარდება,
 ადგება გარტეხული;
 ხედავს, რომ მტკვარი შავდება,
 და მოდის ადიღებული;

ამბობს: „სიზმარი ტიალი
 ტყუილად არ გამლანდება!“
 ორი მხედარი გვიანი
 შორი გზით გამოჩნდებიან.

ალაყაფს მოადგებიან
 ჩაბალახებით ბურვილინი;
 თინათინს ეუბნებიან:
 „გვახარობს სიციხე და წყურვილი.“

მოგსულვართ შავი ცნობითა,
 გზა დიდი ვაგვიარია;
 კუჭანტლის ვერავობითა
 ჩვენი არსენა მკვდარია.“

ამბობენ: „შენი ბაღდალით
 ჭრილობა დაუფარეთო,
 და ძველი ქართლის ადათით
 მიწსა მივებართო.“

არსენას ნაან დერძები
 სურვილი შეეასრულეთო;
 დაეკალით დიდი ვერძები
 მშიერნი დავაპურეთო.

გვთხოვა გვეამბო სანქართო:
 „მედი გამიხთა მტერთათო!
 წითელი კაბა ატარე
 არსენას მოსავონათო.“

არ დასწვა ჩემზე სანთელი.
 არცა ცრემლი ლვარო ცხელიო;
 აქცა ქარგი ვიყავი,
 იქაც ნათელსა ველიო!“

ზამთარი.

(დისონანსები)

თოვლი მიობრძანდა ტენორის ყელოთ
 და უსპეტაკეს ხელთათმანებით.
 შეხვდა ქალაქი ქუჭუყიან ხალით,
 შეხვდა სიჩუმით და მოთმინებით.

გრივალი მოდის შურიცხვ ჯარებით,
 როგორც ზიგფრიდი და მენელაი,
 მოდის ყინვებით—ქერა დაარჯებით—
 და გამოუცნობ ღამის მეღანით.

ზამთარი მოდის თავის ტერრორით,
 მან დაიკავა ყველა ქუჩები.
 ზამთარი მოდის ვით კომანდორი
 და გარბის ხალხი შენაქუჩები.

ლამუასავით დაფრინავს ქარი.
 დაახლო ბავშვი მან უპატრონო.
 როდის ვადნება ეს თეთრი ქერი
 და წაშავდება ღამე ოტრანა?

მე ვარ გაკრული ცივ პაენანზე;
 მაგრამ არ მოდის ჩემი ინფანტა.
 მწარედ ვოცნებობ ვის და რამინზე,
 და თოვლისაგან მთლად გავიპენტე.

თუ მოვესწარი მე გათენებას,
 თუ ქარიშხალის შემწყდა თარეში,
 თუ დავალწიე თავი ანთებას,
 წავალ, რომ გავთბე, ხვალ ოპერაში!

ვალერიან გაფრინდაშვილი

ალექსანდრე გუმბოჩი.

ქალაქი

ახალ ცხოვრების, ძვერით ხმაური,
 ზურმუხტ ნაგები ტანი ფოლადის,
 მრისხანებაში, სდგას საცნაური
 გველი ქალაქი, მხნე გოლიათი.

ახურავს თავზე, კომლის გვირგვინებს,
 აწვერილ ქარხნის მალალ ზურგებზე,
 ვატყობოცნილ კვინესით, ამოიგმინებს,
 რკინა დამდნარი მის ზეგ ტურებზე.

როგორც ფრინველთა, გუნდი დაშლილი,
 მის ჯოჯობეთურ ალში ქრებიან,
 სწრაფ ტრამეაგების, წყება გაშლილი
 მალლიდან თქემით დავარდებიან.

ჯავარიან კლდის, დიდი სახლები.
 ათას მინებით გაქრილა ქვაში,
 არეულ ვნებით ვადიხსლები.
 გიჟური ხედვა მტრედისფერ ცაში.

არ უჩანს ბოლო ჩაქცეულ ქუჩებს,
 ხროვა ხალხისა, კვილის დანებდა
 სამარადისო ქუხილს აქუჩებს,
 მშრომელთა ოფლის ძლიერი ნება.

ქალაქი კვეთავს, ალში სურვილებს,
 მხარეა იგი, მკერდ ვალადრული
 მასში გრივალთ ტან-შებურვილებს,
 უნთითა სისხლი ჩამოღვარული.

ქალაქი მძლავრი ვაჟუტებელი,
 და მოგზაურთა, ბედის ვარსკვლავი.
 დროშა აშართა, სისხლისფერ ხელთ,
 და შრომის უფლად მავარი მკლავი.

თორგმანი: გიორგი ლავამარ



ყ ა ზ გ ე მ ი ს ს ა კ ი ო შ ი

ეს ძველი ამბავია.

ბავშობისას გამიგონა: თითქო ალ. ყაზბეგის თხზულებათა დამწერი სხვა ყოფილიყოს. გამიგონია ისიც: თითქო ეს უტყნობ ავტორი მისი მიძაშვილი დიმიტრი ყაზბეგი ყოფილიყოს.

ბევრს ეგვიება შექსაირის ავტორობა. ალ. ყაზბეგის ავტორობაში რომ დაეჭვდნენ—რა ვასაკერიაა?! საეკირველი სხვა რამ არის; როცა ასეთს ეკვებს უსუსტური კვლევით ამართლებენ.

ასეთ კვლევას ეკუთვნის ვინმე მიხ. ზანდუკელის ნაშრომი.

მე არ მინტერესებს პოლემიკა და არც მიყვარს პოლემიკური ეარგონი. თუ სიტყვა „უსუსტური“ ვინმარე ეს მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა უფრო შესაფერი სიტყვა ჩემი მოგონებე.

ჩემი მიზანი სხვაა. მე მსურს აენიშო მხოლოდ, რომ სხენდნული ავტორის სხვადასხვა საბუთი ან არის მცდარი და ან არის უკმარი: ან ორივე ერთად.

ავტორი ირწმუნება მრავალჯის, რომ შემოქმედება ცხოვრების გარეშე არ არის.

ეს შაბლონი ისე გაცეითილია, რომ იგი ყველამ იცის. საცოთხი სხვანაირ მოზრუნებაშია: ცხოვრების რომელი ხვეული განმხურდა მწერლის შემოქმედებაში და რა გზით: პირდაპირით თუ მოხვეულოთ, ხილულით თუ ფარულით. ფრთხილად ფსხიხონალიზი სწორეთ ასეთიანია—თავა გამართლო.

სხენდნული ავტორის მსკელობა კი ყოველგვარ სერიოზობის გარე ღდას. იგი ვრცლად მოგვითხრობს ალ. ყაზბეგის ცხოვრებას:

იგი ფუფუნებაში და განცხრობაში იყო აზილი, იგი იყო ნებიერი და ნებასუსტი, იგი ფლანგავდა ფულებს, იგი იყო სიმულანტი (ერთხელ ქალის სიყვარულიც მოიგონა), მან სწავლა ვერ დაასრულა, იწყო იჯარების აღება და ვერაფერი გააკეთა, გახსნა სასმლოთი ეპკრობა და ვერც ის მიიყვანა ბოლომდე, მას უყვარდა ფუქსავატი გართობა, როგორც მაკალითად ფალავანი კოჩების აზნა (მარტო მისი „ბაბრკი“ რად ღირს) და სხვა—და აქედან ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს:

„აშკარაა, ყველაფერი, სამწუხაროდ, ისე ეწყობა ალ. ყაზბეგის ცხოვრებაში, რომ უნდა შევიჩინებულყო, უკეთ რომ ესთქეთა, დამახინჯებულად გზით წასულიყო მისი ნიქისა და ძაღლების განვითარება დაკინებულყო, გაუანტულყო, მოღუნებულყო“.

აი მართლაც რომ „უეცარი“ დასკვნა!

ავტორმა ან არ იცის მწერალთა ბიოგრაფიები, ან—და ვანებ იფიწყებს მათ, ისტორია მოგვითხრობს, რომ მწერალთა უმრავლესობას შემოანიშნული „ცოდებე“ ახასიათებენ. ალ. ყაზბეგი ვერ ვახებდათ თვალსაჩინო მწერალი, რადგან იგი ცხოვრებაში ასეთი და ასეთი იყო. ამ ახირებულ დებულებებს რომ ვაკუყვთ, მაშინ მწერალთა თითმოდდათი პროცენტი მწერლობიდან ამოვარდებიან. შორს რომ არ წავიდეთ, აკაკი წერეთელი შეგვიძლია გავიხსენოთ მაგალითისათვის: არა მგონია, ისეთი რაიმე „ცოდვა“ ჰქონდეს ალ. ყაზბეგს, რომელიც იმავე

დროს აკაკი წერეთელს არ ახასიათებდეს. მას გაავრცელეთ მზე კი დებულება! შედეგი იგივე იქნება.

სულ სხვა ექნებოდა, ავტორს რომ გვიგონებოდა ალ. ყაზბეგის ცხოვრების რომელიმე ხაზი მისი რომანების რომელიმე ხვეულში: თუ გინდ მისი სიმულაცია—მაგალითად რუს ქალთან რომანის მოგონება. მაშინ კვლევა სულ სხვა მიმართებას მიიღებდა. მაგრამ ავტორს ეს არ აინტერესებს.

ავტორი ეხება ალ. ყაზბეგის ნაწერებს. იმავე წაშში ნახულობს მათში კინისა და აბელს. ერთი ჯგუფი ეკუთნა, მეორე ჯგუფი კარგი. იგი არ ცდილობს ახსნას, თუ როგორ თავსდებიან პირველი ჯგუფი და მეორე ჯგუფი ერთსა და იმავე ავტორში. იგი თავიდანვე იმაში დარწმუნებული, რომ პირველი ჯგუფი ალ. ყაზბეგს ეკუთვნის, მეორე ჯგუფი კი სხვას უნდა ეკუთვნოდეს. ამ მტკიცებას იგი სხვადასხვა გზით ასაბუთებს. ხოლო არც ერთი გზა არ არის სწორი.

პირველ ჯგუფს ეკუთვნიან: „სკენები“, „ფათი“, „ჩინოვანი ელფრთი“, ბედ-შავი“, „მტრული“, „ილეონია“, „ცხოვრების ჩარხი“, „ნიწო“ და სხვა.

მეორე ჯგუფს ეკუთვნიან: „ციკა“, „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ციკო“, „ელისო“, „ციკია“, „ნიწო“, „ბერლია“, „იღბერდ“, „ხვეის ბერი გოჩა“, „ნამწყესარის მოგონებანი“, „განკიცხული“, „მოთფარი“ და სხვა.

ამ ორ ჯგუფთა შორის, ავტორის აზრით, უფსკრულია ნაშდელი.

უფსკრული პირველი: პირველ ჯგუფს ემჩნევა უტყუარი გავლენა სხვადასხვა მწერლებს: გიორგი ერისთავის, გრიბოედოვის, კარაშხინის, მოხასანის, ღერმონტოვის, ტურგენივის და სხვისი. მეორე ჯგუფი თავისებურია: მას არ ეტყობა არავითარი გავლენა. აქედან დასკვნა: პირველი ჯგუფი ერთ მწერალს უნდა ეკუთვნოდეს და მეორე ჯგუფი მეორეს.

კიდევ რომ მივლოთ, როგორც ფაქტი, თითქო პირველი ჯგუფი გავლენის ქვეშა დაწერილი და მეორე ჯგუფი კი თვისგნით, მაშინაც კი ავტორის დასკვნას აქედან ვერ მივიღებთ. შესაძლოა ერთსა და იმავე ავტორს ჰქონდეს ორივე ჯგუფის ნაწერი: ერთი გავლენის ქვეშ და მეორე გავლენის გარეშე. მაგალითები მრავალია. კერძოდ—ალ. ყაზბეგის შემოქმედების ასახსნელად შესაძლო იქნებოდა ასეთი პიპოტეხი: საცა იგი „ბარს“ ეხება, იქ მასსა დამუშავებულია მრავალჯის და მრავალმხრით, —ამისათვის შესაძლოა, ახალგაზდა რომანისტი გავლენაში მოხვედრილიყო. იქ კი, საცა იგი „მთას“ ეხება, იქ თვითონ მასსა მოცემულია ჯერ კიდევ ხელუხლები,—მაშასადამე შესაძლოა, ახალგაზდა რომანისტი თავიდან აეცდინა ყოველგვარი გავლენა.

უფსკრული მეორე: პირველ ჯგუფში აღებულთა შორეული წარსული, მეორე ჯგუფში კი უახლოესი წარსული. აქედან: ორი სხვადასხვა ავტორი.

ესეც მცდარია. მრავალი მწერალი, რომელიც მასსალს შორეულ წარსულიდანაც იღებს და ახლო თანადროულობიდან. კერძოდ—ალ. ყაზბეგის ნაწერი ახსნისათვის შესაძლოა ასეთი პიპოტეხი წამოვადენოთ: ალ. ყაზ



ბეგი რომანტიკოსია და მას რასაკვირველია შორეული აფროთიანებს. ამ შორეულს იგი წარსულში ჰპოებს. მაგრამ ის, რაც ჩვენ ახლო თანდაროულად გვეჩვენება — „მთა“, ისიც წარსულია არსებითად. „მთა“ თითქმის ისტორიის გარეშე დგას: მან არ იცის თითქმის ვითარება: იგი თემურ და გვირგვინ ყოფას არ გასცილებია. მაშასადამე — „მთა“ არქაული ყოფაა, და როგორც ასეთი, წარსულია. მაშასადამე — იგიც „შორეულია“ და პირველი შეხედვით ნახული ზღვარი ამ მხრით მიხსნილია.

უფსკრული მისაგე: პირველ გგუფში მოცემულია მეშინაური ყოფა მეშინაური სიყვარულით, მეორეში კი რაინდული ყოფა სპეტაკი სიყვარულით. აქედან: ორი სხვადასხვა ავტორი.

ახირობული მტკიცებაა. ალ. ყაზბეგი სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო. აი რასა სწერს იგი თავის თავზე: „ამ ხალხში აღვიზარდე, აქვე ვსწავდი მთელი დედა-აქის რძეს, რომელიც მთლად იყო შემდგარი მთის დაღებულებით აღსავსე ბუნების ნაწილობრივად... ვიზრდებოდი მათ შორის და სანექტარო ნიათავს ერთად სმენასა წვედებოდა ნანა ჩემის მყოფებლისა, რომელიც იძახებდა: ვინ თავისა ვერ სთვსობს, მას აღზრდელის რძე პირობად წამოუყავო... და შემდეგ, თუმცა ყოველმა შემთხვევაში, თუნდა ავიღოთ თბილისის ასე წოდებული მოწინავე — შოთავე ხალხში ტრიალმა ვერ დაიმორჩილა ჩემი შენაღებნილი ნაწილები, ვერ შეიპყრო და ვერ გარყვნა მათი ძალა, და დღემდის ჩემის სისხლის შემადგენელია არიან მთის ნაკადულში შერეული რქინა და კლდით შორის ნაჩქქვის წვეთები“ („ქავკასიონი“, 1—2)... აი „თეთილის“ ბუნება და მისი მზერა: საკვირველი არაა, ამ მოთმან გავ „მთისა“ მხოლოდ მეშინაური ყოფა იხილა და ოდნავ „გვერდულად“ მიუღდა და არიანდა ასწერა..

უფსკრული მეოთხე: პირველ გგუფში ბუნება არაა მოცემული, არ თუა მოცემული, იგი თავისთავადაა. მეორე გგუფში კი სულ ბუნებითაა გათენთილი. აქედან დასკვნა: პირველი ერთს ავტორს ეკუთვნის და მეორე მეორეს..

არც ესაა სწორი. ალ. ყაზბეგი ბუნებას ყველაგან ხედავს. მოუწინებთ მას: „ბუნება კაოგია მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგ სიკოცხლე ტრიალებს“.. ცოტა ქვეით: „მე არ ვარ მოკლებული უსსულე, უსიკოცხლო საგნებისა“. („ქავკასიონი“, № 1—2).. და თუ მაინცა და მაინც პირველ გგუფში ნაქლებია ბუნება ვიდრე მეორეში, ეს ალბად იმითმ ხდება, რომ პირველი გგუფის ყოფა მოწყვეტილია ბუნებას და მეორე გგუფის კი პირდაპირ გალობილია ბუნებაში.. და ალ. ყაზბეგს ქების ძეტი არა ეთქმის რა ასეთი ომიექტები ასახვისათვის..

უფსკრული მეხუთე: პირველი გგუფის სტილი სუსტია და მდარე, მეორე გგუფის სტილი კი ძლიერი და გულსხმიერი. აქედან: ოთი სხვადასხვა ავტორი.

კიდევ რომ მივიღოთ ასეთი დაყოფა, ეს კიდევ იმას ვერ დაამტკიცებს, რომ ეს გგუფები სხვადასხვა ავტორებს ეკუთვნიან. გარდა ამისა ავტორის მაგალითები სუსტია. მას მოჰყავს „ფთისა“ და „არსენას“ ვითომ სუსტა ადგილები. ნამდვილად კი ეს ადგილები სტილის მხით მეორე გგუფის ადგილებს არაერთი არ ჩამოუვარდებიან. ამავე დროს მას მოჰყავს „მამის მკვლელობა“ ვითომ ძლიერი ადგილი. ნამდვილად კი ეს მდარე რიტორიაა:

რკია: „ეს არ იყო ქურდი და ქურდობას სწავებენ! ის არ იყო ავაზაკი და — ავაზაკობას აბრალებენ! იმას უყვარდა და — სიყვარულის სავანს აშორებენ!“...

მე არ შევხებები ავტორის მტკიცებას, თითქო მწერალს (ამ შემთხვევაში ალ. ყაზბეგს) არ შეეძლო 1880—1885 წლებში აღმდნის ინტენსივობა: ცოტა ხანია! ვინ არ იცის მრავალი მწერლის დაქნისიური შემოქმედება! არ შეეხებები არც იმ ფაქტს, რომ ალ. ყაზბეგი 34 წლისა იყო, როცა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. ძალიან გარკვეული: მომწიფებული გამოხსულა. შევხებები მხოლოდ ავტორის ერთს „ახირობულებას“..

აკაკიმ ლექცია წაიკითხა შოთა რუსთაველზე. ყაზბეგი გათმომხაზურა და ვერა სთქვა-რა.

მიუხედავად იმისა, რომ „მამის მკვლელო“, ავტორის ფიქრი, „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით არის დაწერილი: „იავო — პირდაპირი, გულადი, უშიშარი, მაგრამ გრძნობით დატყვევებულ-დამომხებელი; მასში ხშირად გრძნობა სუბიექტის კომპაზი იზრია და მიხერხება უფრო მეტია, თუმცა სლი და ძლიერი გრძნობაც მასში დიდია“. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ იავო ტარიელია და კობა ავთანდილი.

არ ვიცი, რომელ შკოლაში ასწავლიან ასეთ პარალელებს. ამას თუ გავყვევით, უთვალავი ტარიელი და უთვალავი ავთანდილი ამონრდება.

სიტყვ არ იყოს, რა უნდა ეთქვა ალ. ყაზბეგს, გარდა იმისა, რაცა სთქვა?! ეს მისი ნებაა და უფრო კი მის გულ-ნება (გუნება)..

ავტორის უნდა ამით განვითარებლად მოგაჩვენოს ალ. ყაზბეგი. მაგრამ ვინც წაიკითხავს „ქავკასიონში“ გამოქვეყნებულ ნაწერს ალ. ყაზბეგისას, ის უფოოდ უკუ-ავდებს სრულიად უსაფუძვლად გავრცელებულ შეხედულებას ალ. ყაზბეგის ინტელექტის შესახებ..

ეს მხოლოდ „შვიდაშვიგ“. თავიდათავი სხვაა..

წარმოვიდგინოთ, რომ ალ. ყაზბეგის სახელობის ნაწერებში მართლაც ორი გგუფი არსებობს, უფსკრულით გაყოფილი ერთი მეორისაგან: პირველი სუსტია და მდარე და მეორე ძლიერი და გულსხმიერი. მივიღოთ ისიც, რომ პირველი გგუფი ერთს ავტორს ეკუთვნის, მეორე გგუფი კი მეორეს..

ეს ყოველი კარგი, მაგრამ სად არის იმის საბუთი, რომ სუსტია და მდარე სწორედ ალ. ყაზბეგს ეკუთვნის?! ეს დასკვნა ყველაზე უფრო „ახირობულია“ მის ზანდუქელის „გამოკვლევაში“.

იგი აქ ისევ ალ. ყაზბეგის პიროვნულ ერთეულს მიმართავენ:

ალ. ყაზბეგი თითქმის ბავშობიდან შეპყრობილი იყო ონანიზმით. შემდეგ ავი სენი (ლუფსი) შეყვარდა ავტორს მოჰყავს სხვების მოწმობა: „იგი თავიკენდრული და გულწაზნობილი იყო“. მისი გართობა შეეძლო მხოლოდ მის მაიმუნს „ვაკოს“, რომელიც მას გაგიყვით უყვარდა და რომელიც ზშირად ქაშაშვიც დასყავდად უბოთ. ალ. ყაზბეგი საშინელ ქუქუქში ცხოვრობდა: საცელების გამოკვლავებდაც უარს ამბობდა. მსყვე სჭირდა კლავტრომანია. იგი ჩაღოდა დუნქენში, იპარავ-

და ფართულობას, ამოჰქონდა შინ, ამწყვირებდა ხოლ-
და ეთამამეფობდა... და სხვა და სხვა...

შემდეგ ავტორს მოჰყავს ვაჭარი ციტატები პსინიატ-
რის სერბსკის წიგნიდან. მკითხველი მიხვდება თუ—რის-
თვის...

მიელი ეს ადგილი ავტორის „კვლევისა“ საწინელ
შთაბეჭდილობას სტოვებს...

ჩვენ ვიცით, რომ ალ. ყაზბეგს არანორმალური
იყო. მაგრამ ისიც ვიცით, რომ ნამდვილი შემოქმედი
მრავალ შემთხვევაში არანორმალურია: იგი არღვევს მი-
ლებულ ნორმებს. ამ შეხედულებას არ აქვს შინაგანი კავ-
შირი არც ლომბროზოს თეორიასთან („გენიალობა“) და
არც მაქს ნორდსთან ანალიზთან („გადამავარება“).

ვგრძობ რაღუსი. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მო-
ცხსნას მას „სირცხვილის“ მასკა და დავრქვას მას მზო-
ლოდ „უბედურება“. მხოლოდ ამის შედეგ შეგვეძლება
ჩვენ სწორად და მართლად ელემენტარული მასზე.

ჯერ მხოლოდ ფაქტები. საფრანგეთის მწერლებში
და პოეტებში — ვინ მოთელის რამდენი იყო ლუტეტიკი? მაგ-
რამ ვის შეუძლია იმის მტკიცება, თითქმის მათი შემოქ-
მედება ავი სენის გამო მდარე იყოს და სუსტი? მართა-
ლია, ბოლო ფაზებში ეს სენი ანადგურებს ადამიანს, მაგ-
რამ ისიც მართალია, რომ პირველ ხანებში იგი კჰმნის
ადამიანში მისი ძალების უმძაფრესი კონცენტრაცია. ამ
პერიოდში ყოველი შემოქმედი—პოეტი თუ მწერალი თუ
მეცნიერი თუ ფილოსოფოსი—კჰმნის ასე ვთქვათ კუნთე-
ბის ერთიანი დაკვირვება, ძალების ერთი დაკვირვება, ერთი
საშინელი ანთემი და აელვარებები. დრო და დრო ამ
სენით ავად დებარსება იპყრობს და მელანქოლია—სანამ
ბოლოს სრულიად არ დაიწვეს. გრაფიკულად რომ ვაზო-
ვქრათ მისი შემოქმედების სურათი, მაღარისის ხაზურს
მივღებთ: ხან აფარნა და ხან დავიარნა, ორივე — მაგარს.

ამ სენით ბევრი რაიმე აისხნება ალ. ყაზბეგის მოვ-
ლენაში. შესაძლოა, წლები 1880—1885 სწორეთ მალა-
რის ხაზურს იძლეოდნენ მის შემოქმედებაში, უკანასკნე-
ლის გამძაფრებელი, რასაკერაფელია. ამ ხანის ექვთუვის
დიდი ნაწილი მისი შედეგების. ხოლო, დრო და დრო
იგი აღბად ანავე ხანაში „დავადრინასაც“ გადაიტანდა,
რასაც უთუოდ მოჰყევებოდა სუსტი ნაწიერი: უსისხლო და
უხერხებელი და ზოგჯერ დაუთმავრებელი.

მტკიცება იმის, რომ 1880-1885 წლებში იგი უკვე
„დავადრინი“ იყო, მხოლოდ ცოცხალი მოგონებით შეი-
ძლება დადასტურდეს. უკანასკნელი კი სხვას გვეუბნება.
ელა ჰუჰუკა...

თვისთავად ესეც ფანტასტიკია ალ. ყაზბეგის. ის-
ტორიამ მრავალი იცის ასეთი მგაღლითი. ეს არ არის
უბრალო მოვლენა. იგი ელს თვის ფერიდან ასახსნილად.

ხოლო რაც შეეხება მაიმუნ „ჟაკოსთან“ დამეგობ-
რებას, ამაში უფრო ვხვდეთ არა მარტო „გენიალურ ახირე-
ბულებას“, არამედ ადამიანის პიროვნების უკანასკნელ
დანელებასაც. აქ არის პოეტის გზებულება მელანქოლის
არეში.

კიდევ უფრო პოეტურია ხაზი ალ. ყაზბეგის კლემ-
ტოზანის:

როცა იგი ფართულობას, თუ გინდ შემეშინეველ
წამოდებულს, შინ ამწყვირებს და ეთამამეფა, ჩვენ წინ

ბავში იმართება ნამდვილი ამ სახელის უსაყვარლესი მხი-
წელობით.

ალ. ყაზბეგის ხასიათზე კიდევ ბევრს იტყვიან.

აქ დიდი მასალა მაღლიან.

ავტორს მოჰყავს ერთი ფაქტი ალ. ყაზბეგის ცხოვ-
რებიდან. „რა გემართება სანდრო?“ ეკითხება მას ნიკო
ლომოფი. სანდრო მიუგებს: „ეგ არაფერი! უტყბად მო-
მელანდენ ყველა ჩემი დავრთება და მათთან ვლაპარაკობ“.
ამ სიტყვებს ავტორი დაერთავს ექიმ ვიდვინდოვილის
სიტყვებს: „ეს მხოლოდ ავადმყოფი სულის გამოხატულებე-
ბაა და არა ნამდვილი მხატვრული წარმოსახვის...“

ეს ამავეი თორმეტი წლის წინად პირადთ გადმო-
ცა მე ნიკო ლომოფმა. ვადმოცემთ ისეთი დიდი მომე-
ჩენა სანდრო ყაზბეგი, რომ იმავე წელს დაბეჭდულ პატა-
რა წერილი „სანდრო ყაზბეგის“ სათურთით... და მართ-
ლაც: აქ ჩვენ გვაქვს საქვე უმძაფრეს ფიზიონერულ ნიჟ-
თან... მიხ. ზანდუკელი კი უბრალო ექიმის თქმის იმოწყ-
მებს, რომლისათვის ასეთი ნიჟი ცხნა კლიტულში დამა-
ლული. საკვირველია: ნუ თუ ლაშქინის გამოკვლევა მაინც
არ წუთკითხვას შემოქმედითა უტყნაურ ხილვითა შესახებ?

არას ვიტყვი დიმიტრი ყაზბეგის ავტორობის შესა-
ხებ. ალ. ყაზბეგმა განჯინა ვასტება და ნაწერები მოიტა-
ციაო. მერე ეს კმარა იმის დასამტკიცებლათ, რომ ავტო-
რი დიმიტრია და არა სანდრო! საიდან ვიცით ჩვენ, რომ
იქ უთუოდ ბელლეტრისტიკი ნაწერები იყო? შეიძლე-
ბა, მაინე სულეობით, რომელიც 1872 წელს დაბეჭდა და
რომელიც „დროშაში“ ეხლა გადმობეჭდა! მაგრამ ეს ხომ
უსუსური ბავშის ნაწერია თითქმის ამისთან შედარებით
ალ. ყაზბეგის უბრალო ბარათები სტუდენტობის დროი-
დან—შეჰსმარია. ალ. ყაზბეგის ფრზა: „მე არა ვარ მოვო-
ცველი უსულო, უსიცოცხლო საგნებისა“—დიმიტრი ყაზ-
ბეგის „მაინე სულეობ“ იციდის თავიდან ბოლომდე.

მაგრამ ავტორი ახირებულა და თავისს გაიძახის.
მეორე გუჯუის ნაწერებიდან დარჩენილია ხუნდნაწერები
(—„მოძღვარის“ რამოდენიმე თაე). ავტორის აზრით, ეს
„მოძღვარის“ დედანი კი არა, მისი უხერიო გადმოცემაა.
ადარებო ტექსტების ერთი-მეორეს. მაგრამ რამოდენიმე
ხანა ხუნდნაწერიდან: „გულდამაყარის ვიწროსა და ქვიანს
ხეობას სათავეში ერთი უზარმაზარი, ძნელად მისადგო-
მი და კაცის შემზარებელი მთა ამართლდა. ამ კიდევ?
„თამაც ამ ავდარს ეს ადვალეტი დალუთია, ქარს გამო-
უფულურავს და ადგილ-ადგილ ჩამოშლის გამო ურცხვი
ხეული ხეობა და ვადასავარდნი უფსკრული შეუდგენი“.
ეს არის უხერიო გადმოცემა ორიგინალის თავის სიტ-
ყვით?! გინა არ სჩანს აქ სისხლი, რომლის „შემადგენელ-
ნი ნაწილნი არიან მთის ნაკადულში შერეული ოკინა და
კლდთა შორის ნაჩქქვის წვეთები“? ეს ნამდვილი ვა-
რიანტია „მოძღვარის“: სიტყვა ძარღვიანი და ნაკვეთი..

ალ. ყაზბეგის ვითომ ცრუ ავტორობას მიხ. ზანდუკე-
ლი ამტკიცებს ერთი ფაქტით. მისთვის ეს ფაქტი გადამ-
წყვეტია. ცნობილი, რომ აჩქარებულ წერის დროს (რე-
ლურონს აძლებია დასაბეჭდათ და შემდეგ აგქმებდა)
ალ. ყაზბეგს თავის გმირების სახელები ეშლებოდა.
ავტორი თითქო სიხარულით გაიძახის: „გინა დასა-



ჯერებელია, რომ ავტორის თავისი გმირების სახელები დააეწკვდეს ან აეზოოს?! ეს ხომ იმას ემზავსება, რომ დედას თავისი შვილის სახელი შეეშალოს. და შემდეგ: „ალ. ყაზბეგის ასეთი „გადანათვლა“ შედეგი ხომ არ არის მისთვის უკბო ნაწარმოების შექანიკურ გადაწერისა!?!“.

ჯერ ერთი რამ..

ალ. ყაზბეგი, ცნობილია, რედაქციაში წერდა. ამას იგი, ავტორის ფაქრით, იმისთვის შეუბოდა, რომ მის ცრუ ავტორობაზე ეჭვი არავის აეღო.

თუ კი ასე მოწადინებული იყო ალ. ყაზბეგი, რომ მისი ქურდობა არ გამოემდინებინებინა, მაშინ, უნდა ვიგულისხმობთ, იმასაც ეცდებოდა, რომ გმირების სახელები არ არეოდა. მე არ მწამს საერთოდ ის „წარსულის ლოგიკა“ („ასე იზამდა“, და სხვა). რაიც პირველყოფილი ცოდნა ის ჰორიული კვლევის საერთოდ, მაგრამ, თუ კი ოდნავ დავეშვებთ მას, ორ მოცემულ ფიქრში მეორე უფრო მისაღებია: ქურდი უფრო ამოწმის ქურდობის კვალს.

მაგრამ სინამდვილე არაა ლოგიკა და მარტო ლოგიკით იგი არ იხსნება. სინამდვილე რომ ლოგიკა იყოს მარტო, მაშინ არც „ისტორია“ იქნებოდა. ჩვენ აქ „შეცდომასთან“ გვაქვს საქმე.

ნუ თუ ჰგონია მიხეილ ზანდუქელს, რომ ალ. ყაზბეგისთანა შეცდომა არავის მოსვლია?!

შექსპირს დიდი ხსოვნა ჰქონდა, მაგრამ „მაკბეტში“, ანატოლ ფრანსის დაკვირვებით, მას ასეთი შეცდომა შეეპარა. იგი ამბობს, რომ კუდიანებმა მაკბეტს მიმართეს სამი წინათმით, ნამდვილად კი ორი წინათქმა.

ამავე ავტორის დაკვირვებით, რაბლეს ასეთი შეცდომა აქვს. მეორე წიგნის ბოლოში რაბლე გვეუბნება, რომ პანურგი ცოლს შვირთავს და იმავე თვეში ცოლი მას უღალატებს, რომ პანტარუელი იპოვის ფილოსოფიის ქვას და შვირთავს ინდიელ მეფეს ასულს. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ ხდება მისი თხზულების შექმნის წინააღმდეგ. რაბლეს დაეწკვდა თავისი ლამაზი პლანი..

კიდევ უფრო უარესს შეცდომებს უშვებს, რემი დეგურმონის დაკვირვებით, სერვანტესი. დონ კიხოტი გაემგზავრა. მეორე დღეს მისი მოსამსახურე ქალი ეუბნება ლედელს, რომ დონ-კიხოტი ექვსი დღეა, რაც გაემგზავრა, ეს კიდევ არაფერი. სანჩო ტირის თავის ვირის დაკარგვის გამო. რაპოდენიმე ფურცლის შემდეგ ეს ამბავი სერვანტესს ავიწყდება—და ჩვენ ვხედავთ სანჩოს იმავე ვირზე მჯდომარეს (კაცმა არ იცის. საიდან გაჩნდა). კიდევ უარესი. სანჩოს ცოლს თავში ჰქვია „იანა“, შემდეგ კი მისი სახელი „ტერეზა“.

შექსპირი, რაბლე, სერვანტესი. ამით მოსდით შეცდომა... რა დიდი ამბავია, ასეთი შეცდომა მოსვლოდეს ალ. ყაზბეგს?!—ვინც არ ცდება, იგი შემოქმედი არაა.

ვათავებ. მიხ. ზანდუქელის წიგნს აწერია:

„დაიბეჭდა სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგიო ფაკულტეტის ნებართვით. პედ. ფაკ. მდივანი გ. ნათაძე“. ეს წარწერა ბევრს ავალებს—ორივე მხარეს..

გრიგოლ რობაქიძე.



გენ. დავითაშვილი ქსტონეთის დიქტატორი და „ბალიფი“.



გვგობის მეფე ფუადი.

ქართული თეატრის ქრონიკაჟი.

I. ირაკლის თეატრი. II. 50-იან წლები ს თეატრალური ტფილისი. III. ზურაბ ანტონოვი.

I ირაკლის თეატრი.

„თეატრი“ ანუ „თეატრიონი“, „თეატრონი ქართულს ტერმინოლოგიაში შემავაქეს ძველს ელლინურს ლიტერატურას. საშუალო საუკუნეების ლიტერატურულ მანუსკრიპტებში ტერმინი „თეატრი“ ჩვენი საგნის მნიშვნელობით თითქმის არ გვხვდება, მიუხედავად იმისა; რომ ჯერ კიდევ საქართველოს საზოგადოება იცნობდა ესხოსის, სოფოკლეს და ევრიპიდეს ძველს ბერძნულ ტრაგედიებს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თეატრის კავშირი ლიტერატურასთან სავალდებულო არ არის, თეატრის განვითარებისათვის საქართველოში. უნდა აინიშნოს მისი პრიმიტიული ფორმები, შექმნილი რასიული ინსტიქტით.

თეატრალური ხელოვნების შესასწავლად საქართველოში უნდა გავითვალისწინოთ ჩვენში ცნობილი ხელოვნება ესქრის და პანტომიმები; „ზმა“, „მეშეითობა.ჯამბაზობა“, „ლექსი მოწასიბი“, „ზაპა“, ცეკვა, სამაი, ჯუბანა—რომელიც არის „მუსიკა მწყობრი და საკრავთანი და ხმოვანი ტკბილი, გალობა თუ სიმღერა“.

ეთნოგრაფიიდან: „ბერაკობა“ და „ყუნობა“, როგორც ადრეული ფორმა თეატრის, გრიმის, კოსტიუმის და პერტაფორის ყველა თეატრალუბები.

არ შეიძლება გამოვტოვოთ: „აშუაზაგი“ „ყაბახი“ საეკლესიო „კანანახი“ „ჭელი“ და წარმართული რიტუალები „ქადაგისი“ „მონაობის“. მასეც უნდა მივიტოს „ჩრადინობა“ (აზიური ილიუმინაცია) და ქართული ტერმინი „გამოჩვენება“ თითქოს განმარტებული „ზეიმის“ მნიშვნელობით, ჩემის აზრით კი, ეკვეალენტი თეატრის.

უძველეს ლიტერატურად კი საინტერესოა, დღემდე მიღწეული ფორმა დიალოგის, თეატრალური დიალოგები და დიალოგიური იამპოკობი.

ყველა ეს სახეები იძლევა თეატრის და დრამის გენეისის საქართველოში.

ეს ძველად...

მაკრან ხმები ევროპის თეატრალურ წარმოდგენების და მისტრიების შესახებ საქართველოში შემოდიდა XVI საუკუნეში. პირველი გასულა“ ევროპაში X—XI საუკ. ეკუთვნის (ხომალდში ჩავაქე, ზღვის ბაველ, ფრანგის ეკუთვნები ვნახერ, სულ მოვიარე ხმელთი ვერ ვნახე შენი სახეო“—საშუალო საუკუნეების პოეტი, რომელიც მხოლოდ კონტინენტს იცნობს „ხმელთის“ სახით) XIII საუკ. რუსულანის კარზე სცხოვრობდა ევროპიელი პრინცი ორთუსის-შვილი, რომელმაც შეიძლება პირველმა გააცნო საქართველოს საჟეფო კარი ევროპიულ ერიკეტები, ამ დღეებიდან იმდენად მძლავრია ჩვენი პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა რომთან რომ უკანასკნელი საქართველოში აფუნენეს იპარქიის Diocesis

*) ჩვენი ლიტერატურული ძეგლებიდან: თეატრონი კოლიტიკენ თარგმნილი ევლინურით. თეატრი აღფავიტე გადმოღებული ვახუშტისაგან თეატრონი არჩალოში თეატრონი აფხუზებ, ასპარეზს“.

Ifetelencის. მას მერე ჩვენი მუდმივი სტუმრები არიან კულტურტიკევერმისი მხარეები: დომინიკიანების, ტრანჩის კანების, თეათინების, და კაპუცინის ორდენებიდან. შემდეგ რომში პრპოვანდის კოლეგია აარსებს ქართულა ენის კათედრის საიდანაც 1625 წლიდან გვევხვენება დაბეჭდილი ქართული საერო და სასულიერო სახელმძღვანელოები. რომში სისტემატიურათ იგზავნიან ქართველი სტუდენტები, რომელნიც ჩემის აზრით, იყვნენ, გინდაც პასიური პიონერები ევროპული თეატრის საქართველოში.

შეთვლებელია, რომ გინდაც შემთხვევითი ინფორმაცია ევროპული თეატრის არ შემოგტანათ: ნარდენს, ლამბერტის, პეისონელს, დელავალდს. საბა სულხან ორბელიანი, რომელიც XVIII საუკ. დასაწყისში, დაბლომატიური მისილი გაიგზავნა ევროპაში, უწყველად იყო ნახევრი ლიტურგული დრამების და მისტრიების თეატრალური, რომ ასეთი კულტურული კარი, როგორც იყო სასაღე ვახტანგ VI-ის, იცნობდა თეატრს და შეიძლება ძველი ქართული თეატრის პირველი დატა მის მეფობაშიც აღმოჩნდეს. 1724 წელს რუსეთში გადახვეული ქართული არისტოკრატია (მის შორის პოეტი ვურამიშვილი) იყო ესთეტიური მაყურებელი მოსკოვის და კიევის თეატრების ანუ მისტრიების.

ერთი სიტყვით, თეატრალური კულტურა, თეატრალური ხელოვნების ტრადიციები საქართველოში უფრო შორეული პოქებიდან მოდის, ვიდრე გვევინია,

მაგრამ რაკი ყველა ქართველი ლიტერატურული ძეგლში საესებით არ არის შემოკრფილი და თეატრალურ ბიბლიოგრაფიიდანაც დათარიღებული დოკუმენტებიც ჯერჯერობით 1794 წლამდე არ მოგვეპოება, ჩვენ საშუალება არ მაქვს უფრო დეტალურად ვილაპარაკოთ ქართული თეატრალური ხელოვნების აღფელ პერიოდებზე.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართული თეატრი უძველესი პერიოდის პრიმიტიული ფორმიებიდან, თავისუფლად ლიტერატურული მისტრიებიდან და სამოლოოდ იღებს ახალი ევროპული თეატრის სახეს.

ამ თეატრს, რომელსაც მე ვუწოდებ „ირაკლის თეატრს“, რადან ირაკლის ეპოქის ეკუთვნის, აქვს სამი პერიოდი.

პირველი 1759 წლიდან 1780 წლამდე, თეატრი შექმნილი პარიზის იეზუიტების თეატრის გავლენით, კიევის და მოსკოვის მისტრიული თეატრების ტიპის, რომლის ჩანსახს იძლევა ქართული საფელოსოფიო-საოლელო სასწავლებლების „სასკოლო სცენა“.

მეორე პერიოდი 1780—1795 წლამდე, როდესაც საქართველოში ისევე რუსეთის საშუალებით შემოდის უკვე სასულიერო დრამიდან თავისუფალი ფრანგული კლასიური თეატრი ვოლტერის რეპერტუარით კომედიებით, ტრაგედიით, ინტერმედიებით. ეს თეატრი ნაწილობრივ არის დემოკრატული.



მეხამე პერიოდ 1795—1832 უფრო ვაფრო-თოხეული ფრანგული რეპერტუარი. მაგრამ მოკლებული სასახლის პალატებს, საკუთარი შენობას და განსაკუთრებით არისტოკრატიული „ოჯახების“ თეატრი, რომელსაც სამუდამოდ სპობს 1832 წლის პოლიტიკური აქტი.

ირაკლის თეატრის ძაქტორი არის ტფილისის და აფხაზის სემინარია ანუ „სხოლა“ პირველი გაიხსნა 1756 წ., მეორე უფრო მოგვიანებით, სახელდობრ 1782 წელს. მათი ანაზღები იმავე დროს არის ანაზღები ქართულ თეატრის. ორივე დაწესებულება, რომელთაც მოგვცეს XVIII საუკუნის ქართველი ინტელიგენცია, არა დიდი მასშტაბით, მაგრამ მიიწვ ქილიალებია პეტერბურგის ალექსანდრო ნეველის სემინარიის და მოსკოვის სლავურ-ლითინურ აკადემიის—მათივე პროგრამით და ორგანიზაციით. სასწავლებლის კურსში საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად გადიან ლოლიკა, ფილოსოფიას, მეტაფიზიკას, ფიზიკას, გრამატიკას, რიტორიკას, და რაც ჩვენთვის საინტერესოა, აქვე არსებობდა. „პიტიკის კლასიკ“, რომელშიც სქოლასტიკურ სისტემებთან ერთად ისწავლებოდა დრამატული ფორმაც, როგორც ერთი სახე პიტიკისა.* ჩვენი საგნისათვის საჭიროა სწორედ ეს „განმარტება დიალოგისა“ და „სინოპსისი დეკლამაციის“.

მაგრამ საკმარისი არ იქნებოდა, რომ დრამატული ფორმა თეორიის გარდა პრაქტიკულად არ გავეცათ და ჩვენდა სასიხარულოდ არსებობს დოკუმენტები, რომელითაც თელაველი და ტფილისელი „სხოლასპეტები“ სდგამდნენ საზნოში სცენიურ დიალოგებს, დეკლამაციას და პანეგირისტულ პისებს იამბიკებით, როცა საწვლენბელს ესტუმრებოდა რომელიმე წევრი დინასტიის. ამიტომ შემთხვევითი არ არის ზემოთი ცნობა დავით რეპტორის თეატრის შესახებ თელავში. უშეკავია, რომ სემინარიას თეატრის დრამატული მიღწევები ქალაქის დარბაზებშიაც გადაჰქონდა რეპტორისავე ხელმძღვანელობით.

სასკოლო სცენას, ჰქონდა საკუთარი რეპერტუარი, გამაზღვრული სიუჟეტის სემები. მასში სპარაობდა თარგმნითი ლიტერატურა, საშუალო საუკუნოების ესტეტით, მოტივებით და სიტუაციით. მაგრამ იყო ორიგინალური პისებიც რომელთა კონსტრუქცია და მანერა. ყოველ შემთხვევაში არ იყო ინდივიდუალური. ექვი არაა, ირიგინალური მისტრიკების „ეტორები“ არიან ჩვენთვის ცნობადი „დრამატული სკოლის“ „უტუბო პიტიკოსი“, „ტკილი მესტრინი“ და „მთხველინი მაილას ფრასა ზედა“. ამნარიან ჩვენი ნაციონალი დრამატურგის გენეზისის სათეოლოგიო სკოლათა ზღუდებში უნდა ვეძიოთ. სწორედ ასეთივე საფუძვლით იქმნება ფრანგული და ესპანური თეატრიც.

ცნობილია, რომ სიუჟეტები, ბიბლიურს ტემებს

შეიცავდა. სამუშეხაროდ, არა გვაქვს რეპერტუარის ბიბლიო-გრაფია, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მისი ისტორიული-ლიტერატურული და თეატრალური მხარე, დადგმა და ტენიკა. ეს ეკი ცხადიარომ ტენიკა დადგმის იყო თითქმის უსუსლო...

თეატრი, რომ ტფილისსა და თელავში გაიმართა რამოდენიმე მისტერია, ადასტურებს, რომ სასკოლო სცენის რეპეტით, უკვე იქმნებოდა მეორე, „დარბაზების“ თეატრი უფრო სერიოზული, უფრო ფართო სახალხო, რომელიც ოთხნობლიანთა წლებში შემოვა ვოლტერის რეპერტუარით. ამ თეატრის პიონერები არიან ქართული სემინარიები, რომელთაც სქოლასტიკურ სისტემებთან ერთად, შემთხვევით შემოჰყვანთ დრამატული ფორმა და თუ ეკი არსებობდა პროფესიონალი ტრუპა არისტოკრატიად, მის ხელმძღვანელებად ისევ ეს „სხოლასპეტები“ უნდა ყოფილიყვნენ.

სანტერესოა, რომ პირველი დიდი მისტერიები უმთავრესად სამეფო პალატებში იმართებოდა. ამიტომ ტერმინი „პალატა“ დიდხანს თეატრის მნიშვნელობით იხმარება.

XVII საუკუნის უკახასკენლ წლებში, იწყება საქართველოს ინტენსიური ევროპიზაცია და ტფილისც შეუმჩნეოდ შედის ახალს ფორმაშიცაში. იცვლება სახელმწიფოებრივი აპარატი, იცვლება სტილი კულტურის იცვლება ჩვენი ახლად აღორძინებული, მინიატურული მისტერიების თეატრიც, რომელიც უკვე ევროპულ თეატრის ტრადიციებს იქნის. მიდის ფრანგული ტრაგედული თეატრი, მიდის კომედიის თეატრიც, თავისი მზიარულებით, მორალიტეებით, ინტერმედიებით...

უშეშური ლიტერატული დრამები კიევის დრამატურგიის პრობის, ისპობა კლასიკური ტრაგედებით, დასავსებულ მისტერიებს ანიავებს ვოლტერი, რასინი, ბოზარზე...

ეს რეფორმაცია ეპოქაა, როცა სპარსული პოეზიით და ბიზანტიური კლერიკალიზმის ტრიუმფით მოღუნებულ ქართულს ინტელექტს დაუფულა ვოლტერი, როცა რუსოს, ლესინგის, დიდროს და მონტესკიეს—ენტრუზისტს ხლებდა მოწინავე ქართული ინტელგენცია როცა შემიდის „ფრანგობის“ მოდა „ფრანგული“ ტრადიციები.*) ტფილისში უკვე არსებობს ევროპიელთა კალინია, და ნარიყალის ვიწრო ქუჩაში, სადაც ახიური ურდოები გაეღის: საშუალებას არ ვაძლევენ, ბრწყინვალე კარტით გაივლის ჭრიდრის დიდის ატაშე კირასირებით. დაღამებულს ქალაქში საათნავს იმპროვიზაციებთან, ვიწრო სარკმლებიდან ისმის „მოტლანდიური და პოლშური სიმ-

*) პი მაზინდელი სემინარიელის იონა ხელაშვილის დიალოგი „მუხლიათის“; რომელმაც სკოლიდან იცის: „კალია ბუხა კომედიისა“ და „მუხლიათინა ბუხა ტრადიციისა“.

დავითთან უწიუთ თქვენ უკვე ფრანკოკლნი შაირნი, უფლის პეტროსიანი, მუხთა პატიგისისი მუხხელნი. იოანე მხიარული და ცელვი ტალია, მხიარულ მყოფს მაყურებელთა თა ტრასა შინა გამართველთა თამაზობითა თვისთა, ჩინებლო მელაომენი, წამოაყენებს წინაშე ერთა, ხელშეუფთა გამოხედელთა შემოღებლობისა სიცილისათა და ტრადიციისა. ანუ მგლოვიარობისა ლიტრალითა.

*) ტერმინი „ფრანგ“ რომელიც ნინუას ევროპულს XVIII-ს. მეტად პოპულარიზულა გაჩაბობა პროვინციებშიც.

იხანსენთ „კლმასობადან“ მცირე დიალოგი, როცა იონა ხელაშვილი ზურაბთან ერთად ანავაში დღევით მომავალ ქიხოყელს პასუსს უწევნებს.

გ ლეხი ა: ჩვენ ასე ვიცით ლაპარაკი, ახლა ხომ ვერ გავფრანგდებით.

იოანე ტ. თუ ვინმე რიგიანად იტყვის რასმე ფრანგს ეძახიან ჩვენს, და რა ჩველებდა არს ესე. ზურაბ ბ.—ამისთვის, რადგან საფრანგეთში მეტყინებდა ბევრია. და მეტყინრიც მოდიან იქედან პატრნი თუ სხვანი, მის გამო ვისაც მკოდნარს ნახენ ფრანგს ეძახიან. („კლმასობა“ 141 გე.)

დერების ხმები“ სიონში, წირავზე დავანან ქართველი სენატორები, ჰესარები. დიპლომატები,—ქალები ევროპიული შლიაპებით, პოლონებით, ტრინით, რუმუებით.

მეფე, რომელიც ეკატერინე II ვოლტერთან „თავის მეგობარს უკახის და ყინილიში სამოვზაურთო ეპარტებამ, დღეს უკვე ჩაღმამოხილვი, რომელიც მის დინასტიას დაადგა ტამერანამა, აუდენციავზე გამოდის ორდენებით, ანდრიას ლენტით.. ბატონიშვილები მთელი წლობით ცხოვრობენ პეტერბურგში, ცარსკოე სელოში და ტვიონსშიც ვადამიაკეთ ეტიკეტები ბრწყინვალე სალონების..

პალატებში იმართება ასამბლეა, მასსონთა კრება, კითხულობენ „ქართულ კურანტებს“, „უწყებს სახის მეტყველებას“ ე. ო. თეატრის აქიუმებს.

მაგრამ შევიდეთ შიგ დარბაზში და გავიკნით ძველი თეატრალური საზოგადოება, მით უმეტეს, ამ საღამოს მან უნდა მოისმინოს გიორგი ავალიშვილის ახალი ტრაგედია: „მეღეთ თემოზრა“

ერთი ვერა, რაც ფრანგმა ოსტატებმა დაასრულეს დარბაზის მოწყობა ფრანგული სტილით. თავმოყრილია ბრწყინვალე არისტოკრატია. დარბაზის ერთს კუთხეში, „ქავკასიის ლინიდიან“ დაბრუნებული დენეჟანები ავდგენ სატირულს პამპლეტებს დავით რექტორზე, რომელმაც ვალექსა ქართული გრამატიკა. სასუბარში, ერთს მათგანს ებადება აზრი, შეადგინოს „ქართული დეკამონი“ და ანექლოლოგი ანტილოგია. მეორეს სურს ვოლფის ფილოსოფიის დეკლათ ვადაღება.

მეორე კუთხეში მშრალი პედანტები კითხულობენ ახლათ შედგენილს პოლიტიკურს ტრაქტატს „საქართველოს სწორი გამგეობისათვის“, რომელიც ხვალ უნდა წარუდგინონ მეფეს განსახილველათ.

მარბირალოს ბუხარბიან ისმის ჭაბუა ორბელიანის ახალი კალამბურები და კანკალური ლეონიძე კიდვე ზედმეტათ აქებს მის ეპიგრავიულს ტლანტეს. საზოგადოებაში არ სჩანს ტახტის მემკვიდრე, რადგან მის სძულს თეატრი—შემწვარი ზაქის შემდეგ ვანმარტოებულა, ხატრეთ დატვირთულს კაბინეტში და სტეკება „გიორგი ნოსელის“ წიგნით. კითხვაში, როგორც ქრისტიანი უფიქრდელს ვოლტერის წემოსეკას. მართალია, ეკლესიას კიდვე ელის დოკლეტიანე, ნერონი, ივლიანე, ვოლტერი, მაგრამ იგი არ დაილუბება.“ თუმცა თავისს მშობლში, რომელიც სარწმუნოებაზედ სუსტობს, ის უკვე ჰედღავს ეკლესიის დანახობის სიმპტომებს.

„რასა იქმს ბოროტო სიტყვითა, უკეთური ვოლტერი, მეგობარი ჩემი შვილისა, ჩემის მემკვიდრისა. რუსეთში მყოფმა ჩემმა შვილმა შეისწავლა მისი ურჯულთა სწავლა; მოტრანა აქა მისი სახე, რომელიც სამართლიანად დავეყი ცეცხლსა“ და მისუტებულს მსუქანი სადლით ბუტბუტებს.“ „წყუელიც არის მისი სახელი. ღმერთო და მცხოვროო ჩემო, შენ აპატეე შვილისა ჩემსა დავითს დანაშაული მისი. ნუ ჰკითხავ მას. შენ მოაქციე ჭეშმარიტ გაზაზედ“.

ჭელდცხმისტერი პაატა ანდრონიკავილი არათობს ტფილისში დახანაკებულს რუსის ბატალიონის ოფიცრებს. შემოიღან ძრვილიანები შეხებაზადს შარფით და სლოლიონ ლეონიძის ვადასცემენ იმერეთში — ექსორიაქნიალ“ ბესიკის წერილს. ჭაბუა ორბელიანი — „ქაცი შესახედავათ სხვაგის ეზოპესი“ თავისი მტერის“ სა-

ხელის გავლენაზედ თრთის როგორც პითია და ეფესუს ბესიკის შხამს, მაგრამ ვანწირულ პრეტს არა სკალიან მისთვის. წერილში სიხოსე კანკლერს „იშუამდგომლის მათს უმაღლესობასთან“ ტფილისში დაბრუნებისათვის. როგორც წერილიდან სჩანს, პოეტი დაინტერესებულია დღევანდელი ტრაგედიათ: ზომით, სიუჟეტით და საერთოდ თხოულობს თეატრალურ ინფორმაციას...

მაგრამ დარბაზი ცოცხლდება, როცა რეჟისორი მანაბლის და ანტორპნერიორის გაბრიელ-მაიორის თანხლებით შემოდის ახალგაზრდა დრამატურგი და დიპლომატი ავალიშვილი გიორგი, ავტორი დღევანდელი პიესის. საზოგადოება მის ხედვება განსაკუთრებულ ყურადღებას. ლეონიძე ვადასცემს ბესიკის წერილს, რომლის ვადათავაღიერების მერე იგი საზოგადოებას იწვევს „პალატაში“ საერთოდ მას ეტყობა ნერვიულობა. მუხრანბატონის მეუღლე საყვედურებით მიმპარათა გაბრიელ მაიორს, რომ თეატრი ასე მალე გააპარა დემოკრატიაში. დაცინის მის მაყურებლებს და მის შესასველ ბილეთს, რომელზედაც სწერიია „შაჟრი ორი, გაბრიელ მაიორი“.

დარბაზი უკვე იშლება და მიდის „სახისმეტყველების“ სანახავათ. წინ მიღან ქალები კავალერები. ავალიშვილი სიხარულით იტყობინება, რომ ტრაგედიაზე მეფის ნებართვით იქნება „ჭრელი“ (კონცერტი).

„ჭრელს“ გამართავენ ისაც ზუსტისა და გერასიმე მღვდელმონაზონი „ტტილაღ მეალოზელი“. პირვლამ იცის „ჭრელი“ ათისი, მეორემ ვიდრე ხუთასამდე, მაგრამ მათ ყავთ მეჭურე გურიაში, გიორგი ქულაღანი, „პირველი მალოზელი რომელმაც იცის ჭრელი ათას ერთი“. მის მოსმენას ნატრულობენ განსაკუთრებით ფრეილინები და სტაეს დამები, რომელნიც ხშირად ოცნებობენ პეტრბურგზე. დღეს „ჭრელში“ გამოვიღენ: სოლიაშვილი ლომბრე, ციკოშვილი იოთამ, მეალოზელი დმიტრი, გარსევანიშვილი კოკია, ქარუმიძე იოანე და სხ.

თეატრი, განათებული სურნელოვანი ტრაგეებით, საესეა პირველი არისტოკრატით მაგრამ აქვე არიან: ბენია, საათნავა და ოთარავა ნორიელი ინტერმედების ავტორები „ქამედიანნიკება“ და „მს. ხიობაი“ კულესებში არიან, სადაც უტხოელი რეჟისორი იღება მათ უქანსიკელს პარადს.

დარბაზში ცალკე მოთავსებულია სამღვდელთობა, იგი თავისს წრიდან თვლის არა ერთს არტიკულს და დრამატურს, რომელთა თეატრალური რეჟურატია საკმაოდ გაზიდავი მაგრამ თვით ოფიციალური ქართული ეკლესია, რომელმაც დასწავ ვეფხის ტყაოსანი, რასკვირველი ვერ წააჭებებს დრამატურული ხელოვნების სასახურს, და ებრძვის მას შეძენისამებრ. დღეს დრამაში მონაწილეობს ორბელიანებს მოძღვარი „ქემში დარდიანის“ ე. ი. მღვდელი მიხარული. ამბობენ, რომ ორი თვის წინად ის შეიხსნა ქართლის მთავარბრძვისკოპოზმა „სახისმეტყველებაში“ მონაწილეობის მიღებისათვის, მაგრამ „ქემში“ დარდიანინი“ მოძღვარი და არტიკტი, ტრფიალი ტრაგეუსი და სცენის, ამ მომენტში კულესებში დავს გრემიგანდული და უქანსიკელთა ავლებს თვალს თავის როლს, ხოლო სალაყბოზე დაფრინავს მისი შხამინი სატრია:

„ღღოსთივის არქიელი ბოლოსა, ვინ იქნება იმის დავტოლოსა, თონენია ჩაიკრავს კარვს ლოლოსა,

ეამის წირვას გადაიხდის ქაბასა,
წინ გაიძღვანს დიაკვნასა საბასა,
მე დამიშლის შესვლასა პალატასა,
თვით კი მუღმივე მოივლის აელაბარასა*

მაგრამ ტრაგედიის გახსნის დრო მოვიდა.

მათემ და მისმა ოჯახმა დაიკირეს თავისი ალაგი ტრაგედიის წინ იმდერეს ჰიზნი მეფისადმი და შემდეგ დრამატურგმა მღერით წარმოსთქვა შესაყალი:

„მე სახელდელი იმ ჩენნი დევაშურ წინთა წერითა,
ზოგთ ჩემით მოქმედებულზე ზოგთზე სხვით გადმოწერითა,

მსმენელთ ვევედრებ, ნუ მკიცხვენ ამა ლექსისა მღერითა,

არ დაიშლიან, მაჩვენონ იგ, თუ ვმსახურე მე რითა.
თუ ხართ ვინმე მოსერნენი თეატრის სმენად
ანუ ცნობად,

შეიმატებთ განდიდებას, ბრძენთა აქებთ თქვენად
მკობად.

ერიდებთ უსამართლოდ ჩემებრ მწერთა ცუდად
გმობად,

არ დაიშლით, ჰკავს—არ რიდებთ თქვენთან გლახ
გულთ ლხვიარ სობად.

მერწმუნენით, არ მას ვუნზობ, მქონდეს მუტო მისკენ
ვრდობა,

მაგრამ მწაღის განრინება კიცხვითა და ქვემო რჩობა,
ნუ იკადრებთ გაცხადებით იქონით ჩემზე წყრომა,
დაიშალეთ, თუ რომ სჯობდეს, მლიქვენლობა, ქვე
ქვე ძრომა“.

დაიწყო ტრაგედია. მთავარ როლებში მონაწილეობენ: რეჟისორი მჩაბელი, თამაზ ანდრონიკაშვილი, დავით ჩოლოყაშვილი, გამბრიელ მთიური, იონან ორბელიანი, დავით და მირიან ბატონიშვილები, ქალები სამეფო ოჯახიდან, აგრეთვე ორბელიანები და ავალიშვილთა ასულნი.

ტრაგედიის ერთი მომენტი: „თეიმურაზი საფლავიდან წამოდგება, ერის კაცს დაიქერს და ეტყვის: კაცო, შენ ბრმა მილაშვილი არა ხარ, ეს რაები ჩავიცავს? იქით კიდევ ხელს ჩააღლებს სხვა მოქალაქეთ, რომელთაც ევროპაში უმოგზაურათ და იქაური ტანისამოსი ჩაუკვამთ.

შემდეგ მეფე ამბობს: ჰაი ენო საქართველოს ღატაკო ხალხო! მაგრამ ეც, შვილო ირაკო, შენი იმედი მაქვს, რომ ჩვენს საყვარელს ხალხს სიმართლით უპატრონებ და არ შეაქმნე მგლებს ბატონებზეთ!“ ტრაგედია იყო საპირისპირომომქმედია. ანტრაქტებზე უკრავდა რუსულ ქართული მეზიკა და იმართებოდა ინტერმედია ქართული ცეკვით, ტრაგადიივ შემდეგ ტრუპა წარუდგამეფეს რომელმაც ტბილი კონსულენტიებით აქო მათი „თამაშა“. ტრაგედია დასრულდა უმშვენიერესი „პრელიუდი“.

*) კიკინაძის აღმოცენით.



სტენის მოღვაწე ივ. მკვლითვილი.
12 იანვარს 35 წლის იუბილეს გამართვისათვის.

ამრიგად სრავლის ეპოქაში ჩვენ გვაქვს საკუთარი თეატრი. გვაქვს ორი სტენა სახალხის და სახალხო. თეატრს აქვს რეპერტუარი. ჩნდება თეატრალური ინტერესები ჩნდება ავტორი, რეჟისორი ანტრეპრენიორი, დეკორატორი, ბუტაფორი. გვებადება აზრი, რომ ტრუპაში უხეობლებიც და უმთავრესად ევროპიელებიც ირიუნენ. თეატრალური კულტურა კი საერთოდ ფრანგულ და რუსული სტილის იყო.

მწელია თქმა, რა თეორიული წარმოდგენა ჰქონდათ მაშინდელს ჩვენს თეატრებს, რანაირი იყო ჩვენი „კომედიანტების“ არტიტული ყესტი, დეკლამაცია, ხერხი, კოსტიუმი, გრიმი.

რომ 1795 წ. არ დაღუპულიყო სასახლის არქივი-გვეცოდინებოდა მთავრობის მიერ გაღებულ სუბსიდიის რაოდენობაც, გვეცოდინებოდა უფრო დაწვრილებით თეატრის ორგანიზაცია, ტრუპის შემადგენლობა, რეპერტუარი, პირობება თეატრის განვითარების და ესთეტიური ქართული „მეყურებელი“.

გიორგი ლენინძე.


(გაგრძელება იქნება)


P. S. ეს პალაო ეტიოდ დაწვრილია ნაქარევათ. ეფრანლის პირობები გვიწვლიდა ხელს რომ უფრო ფართოდ გველაპარაკა და მოგვეყვანა შესაფერი დასაუფებანი, ამიტომ იგი მეტს პრეტენზიებს მოკლებულია.

ავტორი.

გფილისის

საქონლის და საფონდო ბირჟა

ისპოლკომის (ყოფ. სოლოლაკის) ქ. № 7, 

 ტელეფონი 4-60 და 9-33.

საბირჟო კრებები

0 მ ბ რ თ მ ბ ბ

საქონლის განყოფილებაში დღის 12-2 საათამდე
საფონდო „ „ 11-12 „

ბირჟასთან იმყოფება

სააქსპერტიზო ბიურო ურველგვარ ექსპერტიზის სწარმოებლათ

საქონლის სექციები, ნედლი მასალების, ხორცის საქარხნო-საფაბრიკო ნაწარმოებების და პურეულობის, ბირჟის გარეშე სავაჭრო გარიგების სარეგისტრაციო ბიურო.

საარბიტრაჟო კომისია, საბირჟო გარიგების გარეშე მომხდარ დავის განსახილველათ

აქონრობითი-სტატისტიკური განყოფილება.

პროენციალური აგენტები-კორესპონდენტები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემდეგ პუნქტებში: თელავი, წმინდა-წყალი, შაუმიანი (ყოფ. შულავერი), გორი, საშური, ახალციხე ახალქალაქი, ქუთაისი, ჭიათურა, სამცხრედია, ომურგეთი, ახალ-სენაკი და ფოთი.

ბირჟა სცემს საკუთარ ორგანოს ფასდამდებ („საკოტირავო“) ბიულეტენებით.

ცნობების გაცემა: ვალიუტის კურსის და საქონლის ფასების შესახებ, სწარმოებს ბირჟის კანცელა-რიაში ყოველ-დღე 9-მ საათამდე.

დელა.

თანდია, ფრთხილათ! გველი სისინებს.

ჯანდო.

გარედ მიათრებს

გა, დედაბერო!

დიდა.

შენთვის არ მიტყვამს, რაც მსურდა მეტყვა!

თანდია.

ნურაფელს დარდობ!

ჯანდო ძალით გაიყვანს და თვითონაც გადის.

ნ.

თანდია და ბაბული

ბაბული

მიმედ უახლოვდება

მე იმ ქალაღდებს ხალხს დაეუბრუნებ,

თუ ამისრულებ...

თანდია.

რას?

ბაბული.

თუ სამუდამოდ ჩემი იქნები!

თანდია.

ოყვიც შემდეგ

არასოდეს!

ბაბული.

შემკრთალი

ნენე გიყვარს!

ნენე, ხა ხა ხა! და შენი ლეკვი!

ასე არ იყო, მაშ, რა აბა შეგაკაიებდა?

მე ყური მოკვარ,

რომ ეს ხალხისთვის იმედია უქანასკნელი!

მაშ დაუბრუნე მათი იმელი!

დაჰყე ჩემს სურვილს!

თანდია.

იმათ სჭირდებათ თვით ჩემი თავიც!

დაიხ!

ხომ გაიგონე, ჩემში რწმენა დაუკარგნიათ,

ასე რომ დედას ჰშინებია, არ გაგმხდარიყავ

ხალხის გამცემი, ვით იყუდა... შენთან რომ ერთად

გამოვეცხადო... ხომ იფიქრებენ...

ბაბული.

დაე მათ ნურც კი ეცოდინებათ!

ფარულ კონისთვის და შეხვედრისთვის,

სადმე ყრუ ადგილს შენთან ტრფომისთვის,

წუთიერ ვნებით გატაცებისთვის—

მზად ვარ მოგიძღვნა ყოველისდევრა.

ბატონს ყველაფერს დაეთმობინებ!

ხელს ჰკონის

მიყვარხარ, ვესმის?

თანდია.

აღექ! ნუ გინდა .. აღქე ზეზე!

მწუხარედ.

ახ, რად არ ძალბიძს შენდამი ვენბა მეც ჩაივინელო!

ბაბული.

ანთებული

აი, ჩემი ხარ! ჩემი, თანდია!

თანდია.

არა!

ერთხელ ყრობისას გაიღვიძა ჩემში სხვა ძალამ,

რომ ჩემი ხალხის შვილი ვიყავ და ჩამოვშორდი.

არ ხერხდებოდა ერთმანეთის თანამგზავრობა!

ვერანობდი, რა რწმენით ჩემი ხალხი მელოდებოდა!

ათანელის ძე იმათ უნდა წინ გასძლიოდა!

ჩემი ბუნება სწორედ იმ დროს შუა ვაიყო.

მე აღვიზარდე თქვენს შორის და ცხადად ვხედავდი

რა სიძლიერით, ღირდა შრომით ახწვედით მიზანს!

მე შევიცვარე თქვენი შრომა და სიძლიერე.

ჩემს ხალხში ვიპოვე დაკნინება მონობისაგან!

ბედის უძლური მორჩილება, გულბრყვილობა!

თქვეთთან ვაცხრომა და ზემი, იქ ვაპირებება,

ცრემლი და გლეჯა! — რა ამერჩია?

ბაბული.

გადაკრით

ან მე, ან ნენე!

თანდია.

ჩემად

მყავს არჩეული!

ბაბული.

ბოროტად

ახ! კმარა! კმარა!

ბატონი.

შემოდის, მოჭრულული.

ერთად ხართ ისე! შენ მოურავო!

გაიყვა გარედ ეს პატიმარი!

თანდას რაღაც ჰქუტის სთვას, შემდეგ თვით მისდევს მოურავს!

7. ბატონი და ბაბული.

ბაბული.

ჩემო თავადო! მთვრალი ვარ ლეინით!

რაც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებდა,

იგი საზღვარი აღარ არსებობს!

ბატონი. დაკნინით

ვის ვემაღლოდე?

იქნებ იმ ემანუელს, ორივეს ერთად რომ მოგასწარიო?

ბაბული.

არა! მე მიზიბლავს ეგ შენი ძალა!

რომ მიახწიე დასახულს მიზინს

და ეს მთის ხალხი, ლალად ნამყოფი,

მოსდრიკე შენს წინ! — აი, ეს მათობს...

და ის. რომ მზად ხარ მონაპოვარი მე ერთს მომიძღვნა...

ბატონი.

ღიბა, მიზრძმენ! კარის ხუცესი

ელხავ ჯვარის დაგვეწრს...

ბაბული.

რა საჭიროა კანონ ერი ბორკილის ზიდვა!

ამით ჩვენ მხოლოდ ვნებას ვაშრობთ, სურვილს ვიბოჭავთ,

მე მიყვარს ცოდვა, სიყვარულიც შემეძღვი მიყვარს...

წითელი, როგორც ჯოჯობეთი! ბატონის კათლიდან წამოხდებდა

ღვინო! კვლავ ღვინო!

ღღეს ზემიმა თქვენი, თავადო!

მინდა რომ სახეც ნათელი გქონდეთ!

უბრძანე, ღვინო!

8. იგინივე და მოურავი.

ბატონი. ხელს შემოკრავს შემოსულს მოურავს

მოგვართვი ღვინო!

ბაბული.

ძველი! წითელი!

ბატონი.

ჩვენი სტუმრები რად არა სჩანან?

ჯანდო.

დაბლა შინჯავენ უწინდელ დროშებს და ძველ იარაღს.

მოურავი გადის. შემდეგ ღვინო ბრუნდება.

ბატონი.

დაე, იქ მტვერში იჩხირკედელონ!

ბაბული.

დაე, ნურც მოვლენ! მსურს ორნი ვიყენეთ!

მასთან, ვინც ამელიამ დამეფუფლება!

ბატონი.

ჩემო მნათობო, ო, დედოფალო!

უნდა მივარდეს, მაგრამ ამ დროს შეზოდის მოურავი.

ჯანდო.

აი, ეს ღვინოც!

სადგავს ღვინოს

რა უნდა ვუყოთ ჩვენ ამ ქალაღლებს?

ბატონი.

ე მანდ დააწყე!

ჯანდო.

მაგიდაზე აწყობს და გადის

აქ აღარავინ შემოიშვე ჩემს ბრძანებამდე!

ორს კიქას ავსებს, ერთს თვითონ იღებს, მეორეს ბაბულის აწვდის.

მაშ სადღეგრძელო ვისი დავლიო?

ბაბული.

არა, მოიცა! ერთი კიქიდან...

დაბრძანდი, ჩემო ბრძანებლო!

ღასვასს სავარძელში, თვითონ კალთაში ჩაუჯდება

გული რაოდენს გრძნობს ნეტარებას,

რომ ყველაფერი შენ ერთს გეკუთვნის!

ბატონი.

ერთი ყლუბიც და —

მთლად ახალგაზრდა გარდავიქნები,

და აღმენთება სისხლი ძარღვებში.

ბაბული.

მკლავებში გადაიწვინა და ოთახში დაჰყავს.

მაგრამ საშინლად ექვიანი, ექვიანი ხარ!

სავარძელში ჩაჯდება ფეხებ ავეცილო

ბატონი. მის წინ

არა! არა ვარ!

როს შემომოვიცავ, რომ განუწყრელად ჩემი ხარ მხოლოდ,

არც ერთის სიტყვით შენს ნათელს სახელს არ შეეურაცხეყო!

ჰსურს აკოცოს

ბაბული.

წამოხტება

ღვინო მოიტა! ღვინო კიდე!

მინდა მუსიკა! უხმე ჩემს მხლებლებს...

ბატონი. მოკრულული

მხლებლები რისთვის!

ბაბული. იცინის

აი, ხომ ჰხედავ კიდევ ექვები!

მინდა შეივლმა მათთან ვიცეკო!

ბატონი.

რა აზრი მოგდის?

ეგ ხომ სიგიჟე იქნება სწორედ!

ბაბული.

სიგიჟე, ღიას!

მე ვარ მონა, მთვრალი ღვთაება...

მსურს ვიყო გიჟი... გინდა მიმიღე

მე წარწყმენილი და შემცოდელო,

არა და — ძალგამის სულ სხვა მოსძებნო,

სხვას გადაება ქორწინის ჯაჭვით!

ბატონი.

თავის თავს დასძლევს და ქალის ასეთ უცნაურ სურვილის გამო

ჰსურს ეჩვენოს დამშვიდებულად. ეძახის მოურავს.

ჰეი! მუსიკა!

მხლებლებს უბრძანე ეახლნენ თავის ნათელს ქალბატონს.

ბლომად ყვავილინ სულ აღის ფერია...

მოურავი გადის.

ბაბული.

ვაშა! ეგ მომწონს! ტაშს შემოკრავს.

ახლა მოვეფინოთ ძირს ქალაღლები.

სიგვებს იატაკზე დაჰყრის.

შიშველი ფეხით მსურს მათზე ცეკვა,

როგორც ჰსურს ველურს და გამარჯვებულს...

შენს გამარჯვებას ჩემი უფრო აღემატება!

შენ ურჩი ხალხი დაიპყარ, მე კი —

მე კი ვეზივობ შენსა დაპყრობას,...

ხომ ხარ მორჩილი, ჩემი ერთგული?

არა? არა ხარ?

ბატონი. მთლად მის მოზიბლავ გავლენის ქვეშ.

ვარ მორჩილი! უსიტყვოდ მუნჯი!

ბაბული. გიჟურის სიხარულით.

მომეც კვლავ ღვინო!

ბატონი. გაუბედავად.

ბეგრი მოგივა!

ბაბული. ამაყად.

როგორ? ეგ რა სთქვი?

ბატონი მსწრაფლ ღვინოს უსხავს. შემოდის სამი ახალგაზრდა მხლებელი.

9.

იგინივე და მხლებლები.

ბაბული.

აჰა! მუსიკა(?!). მხლებლებს.

თქვენ მე გიყვარვართ?

მუსიკის ხმაზე მსურს ენებით ცეკვა!

მუსიკა უკრავს ენებიან ცეკვას...

შენ შევივალეზაგ, ხუჭუჭ თმინაო!

შენ მხოლოდ ერთხელ შეეყვარებულის დამწვარი გრძნობით გინახავს ფეხი ქალბატონისა!

შენ მე გამიხსნი ყათანს ფეხზე!

შენ, სარო ტანის ნაკელო მლიმარო!

სარტყელს შემომხსნი კაბასთან ერთად...

შენ კი, რომ მიმწერ შეუდამ დარტყენით,

წახვალ, მომიყენ ჩემსა მიმინოს!

ჩააქრეთ ყველგან ღამის სინათლე...

მხოლოდ ბუხარი, დე გიზგიზებდეს!

მუსიკა სწრაფი! მუსიკა ენებით!

სავარძელზე გადაეშება მხლებლები სინათლეს აქრობენ და შევლიან ტანისაუთისს ვახდას.

ბატონი. ეგრ მოითმენს და წამოფარდება.

არ შემიძლიან! წაეღო ბაბული!

ბაბული. წინ გადაეღობება.

ღარჩები, ჩემო ბრძანებლო!

*) შეიძლება მუსიკა სცენაზე დაუკრან თვით მხლებლებმა.



სკამზე დასვაძს.

გეზუმბრებოდი! მხლებლებს.

წადით ესლავე!

მხლებლები საჩქაროდ გადიან. ქალი მის მუხლებზე გადაწვედა.

მკოცნე რაინდი! მკოცნე! მკოცნე!

ჩემი სიშიშველე დღის შემდეგ შენ ერთს გეკუთვნის.

შენ ერთს გეკუთვნის, ჩემო მიმინო!

გაშაგებით გადღელს კისერში ჰკოცნის.

ჩემთვის გთხოვ მხოლოდ ერთადერთს ჯილდოს:

როდესაც დასწვავ შენ ამ ქალადლებს,

უბრძანე მიხმონ, მსურს მეც დავესწრო,

მინდა ვიხილო, ვინც კი დაკარგა

უკანასკნელი თვისი იმედი!

ბატონი. მოხუცებულის სისუსტიო.

დიახ! დიახ! ჩემო ღვთაებავ!

ბაბული. გაეცლება.

დაუძახე ესლავე ასრულდეს!

ბატონი. უკმაყოფილო.

აჩქარება რა საჭიროა?

შემდეგ მოვასწრობთ!

სურს ავლავ მოვხევიოს, მაგრამ უცხად გაეცლება.

ბაბული.

მე კი მსურს ესლავე!

ბატონი.

ბაბული! მტანჯავ მაგ თამაშობით!

ბაბული.

ო, არა ჩემო ბრძანებელი! აი, ხელს ვკოცნი!

მსურს ამისრული ესლავე ეინი!

ბატონი. იძახის.

ეი, მანდ ვინ სდგას!

ჯანდო მოურავი შემოდის.

10.

იგინივე და მოურავი.

აკრიფე იგი ქალადლები და პატიმრები

აქ შემოიყვია...

ბაბული.

არა! ქალადლნი იქ ეწყის ცხადათ!

მაგიდაზე უჩვენებს.

ბატონი.

რისთვის?

ბაბული.

ამ ქალადლებთან მარტოდ დავტოვოთ,

შემდეგ კი დავყვით, რომ გული დასწყედეთ.

ბატონი. კმაყოფილი იცინის.

ო დედაკაცო!

წვალუმის ხერხი შენ უკეთ იცი!

მურისძიება საუცხოვოა...

ჰა? მოურავო, ხომ მართალია!

ამ მაგიდაზე დააწყე ერთად და შემოუშვი...

ხოლო დარაჯნი ფხიზლობდნენ ყველგან!

არენი გაიქცეს!

ჩვენ კი წავიდეთ, ჩემო გიჟმაყო!

შენ, მოურავო!

რად არ ულოცავ ამ სასახლის ახალ ქალბატონს,

ამ ჩემს დანიშნულს...

მოურავი დაბნეული ბაბულის უჩოქებს.

ჯანდო.

ბედნიერება ახალ ქალბატონს.

გადიან ხელი ხელ ჩაკიდებულნი. ჯანდო გაშტერებული ხელებს აქნებს.

შუთლებია ხომ ჩინებულია! ერთი გერი და მეორე მამობილი!

ლუშმა გავარდეს, ჯანდო ჩავარდეს.

მაგრამ რა გავარდება, და სად ჩავარდება, ამაღამ სერის

უყურეთ!

ჯანდო სიგელს აკრევის. შემოდიან: ასლან და ფრიდონ. ხელში

არქიმოლეფიური იარაღი და ნაშთები უჭირავთ.

11.

ასლან და ფრიდონ

ასლან.

შენ! მასპინძლები საით წასულან?

ჯანდო. სიცილით

ქორწილის პირველ ღამეს უქმობენ!

ასლან.

როგორ? რას ამბობ?

ფრიდონ.

ა! წინადგარძნობით...

ჯანდო.

აი, ესლახან გამომიქცადეს

და მიულოცე უკვე ნიშნობა!

ფრიდონ.

აჰა, ხომ გითხარ!

არა მღალატობს მე წინად-გრძნობა,

სამაის საშოცდა... ექვს წმინდანს ვფიცავ!

ასლან.

აი, ის ღორი! თავმოტვლებილი!

ჩვენ გაგეტყუა, მტვერში ჩავგახრიო

და გვაჩხრკინა სიძველეები...

ფრიდონ.

თვითონ კი, დახე!

ფრიდონ.

გულს ნუ გაიტყვ, ჩემო მოხუცო!

ასეთ ენგეიან ორპირ მახვილით

ჩვენც მოვიპოვეთ შესაფერ კოლებს...

ასლან.

ხა ხა! შესაფერს...

ფრიდონ.

ჩვენც მივულოცოთ, რომ იმ ბებრის გვარს

ჩაეთესლება აქ რომელიმე მსახურის ჯიშო!

ასლან. სიცილით

ეგ ხომ უთუოდ ასე იქნება!

ფრიდონ.

არა მღალატობს მე წინადგარძნობა!

აბა, წავიდეთ!

სიცილით გადიან. შემოუშვენენ

პატიმარ გლეხებს. ყველას ცხვირ პირი ჩამოსტორის. ოთახს ათვა-

ლიერებენ და ერთს კუთხეში ჩერდებიან. შემოდის გლიზბარ, დაი-

ნახავს დროშას და ელდანაცემი შეჩერდება. შეაფრთვლებს. ნაბიჯს

გადასდგავს და გაბრწყინებული იტყვის:

12.

ელიზბარ, მათია, ელიზო, ციზო და გლეხები.

ელიზბარ.

დროშა! ახ! დროშა! ჩვენი დროშა!

(მუხლებზე დაიკემა დროშის წინ. თითქოს ყველას ელვამ დაურბი-

ნაო, ირგვლივ შეგაფრთვებიან და შემდეგ სათითაო იჩოქებენ. ჯრუჟ

ხელებს გაწვიდნენ მღერიათ „მუშლი მუხხა“

მათია.

პირველად შენიშვის სიგელ-გუჯრებს,

სიგელ-გუჯრები! ჩვენი... ჩვენი სიგელ-გუჯრები!

ყველანი წამოხტებიან და მაგიდას შემოხეხევიან. არ იციან რა ქმნან. ერთმანეთს აწყობიან. ყველას თავში გაუღეღებს: გადაფარჩინოთ! მოვიპაროთ! გავიტაცოთ!

ელიზო.

„ჩით იქით ხელს კრავს ხალხო, რა გითხრაო! თუ ჩვენი კეთილ-დღეობა ამ ქალაქებზე ჰქვია, რაღას უყურებო? გავიტაცოთ! ჩქარა დავ-მალოთ!“

I გლეხი. მწარედ

სად გაიქცევი? დარაჯები გვარტყიან ირგვლივ!

ელიზო.

გავანგრით სახლის კედლები, შევიპყროთ დარაჯები ხალხნი არა ხართ? ქუდები არა გხურავთ? გავიტაცოთ.

II გლეხი.

ყველანი როგორ გამოჩნჩებდით? ვერ გავგაიათ? სასაცილოდ გვიგდებს ბატონი!

ციხო. უკანვე აწყობს.

წყველმიმც იყენენ.

ელიზო.

ფუი ლაჩრებო!

III გლეხი.

ეს! ეს სასახლე ჩვენი იყო. . . ეხლა ვინ ხარობს!

I გლეხი.

ის მინდვრებიც ხომ ჩვენი იყო, მაგრამ წავგვართვა!

II გლეხი.

ჩვენი სიმათლის საბუთებიც შეპყრობილია.

ელიზო.

ახნა თქვენზე! ქალაჩუნებო! კაცო, ამაზე ადვილი რაღაა რომ...

ციხო.

გულს ნუ გაიტებით, ბიჭებო! სულ ყველა წარბაველია! აღწახევივარი საფლავი მეთსათვისაც კმარია; ქამანა მქონდეს, დამღერდი, ტუბილად შემეწყუო ხმანია; ძველად სცხოვრობდა ბატონი, მრისხანე, კაც-ქამია! ემტრებოდა სიმათლეს, ციხეში უკრა თავია. სიმათლემ უთხრა: „გამიშვი, შედ დღეს დავაყრი ძამია! ბატონი უფრო განრისხდა, გულში სთქვა: „მოსაკლავია“ მაგრამ სიმათლემ იდროვა, ძირს დასცა კაცი-ქამია. და კატასავით მიაღრძო, ზედ დაამტვრია ფარია. აღწახევივარი საფლავი სთქვა, „მეთსათვისაც კმარია.“

ელიზბარ.

სახლო ჩავარდა ერთი ვარსკლავი!

II გლეხი.

მართლა ჩავარდა!

III გლეხი.

ვინმე მოკლდება!

ელიზბარ.

ჩვენი ბატონი!

მათია.

ეხლა მოგინდათ თქვენც მკითხაობა!?

I გლეხი.

როცა ჩვენ შორის იუდა გაჩნდა, სათემო საქმეც იმიტომ წახდა!

II გლეხი. სიგლებს უჩვენებს.

ჩვენს გამცემლობას აი რა მოწმობს!

ციხო.

ეხ, თანდიაზე რას ვიფიქრებდი...

ელიზბარ.

მძესწული არის! იყოს წყევული.

მათია.

ისიც და დედაც!

ელიზბარ.

წილან თანდის ვარსკლავი ჩაქრა!

I გლეხი.

მთელი ოჯახის!

ციხო.

ნებაც არ მომცეს, რომ მიმეფურთხნა!

ყველანი.

აგერ, იქ მოჰყავით!

ყველანი შემოსულ თანდის ზურგს შეაქცვენ.

I გლეხი.

იუდაც!

თანდია შეკრება.

II გლეხი.

ხალხის გამცემო!

III გლეხი.

შე მოლაღატე!

ელიზო.

შე სახლ-კარ-ამოსაწყვეტო, ხალხის ცოლო რაზე დაიდე?

ციხო.

რამდენი ოკრო ჩავიჭრაილეს?

გულჩაკლულ ადვილიერებს, არ იცის რა უსასუხოს.

მათია.

წინ წამოადგება და სიგლებზე ფითხებს.

აი, შენს ამბოვს დააკვირდი ამ მაგიდაზე,

ამით გაჰყიდე შენი ხალხი თავისუფალი,

შენც, დედაშენმაც...

თანდია.

ქეფნიდან თითქოს გამოერკვევა. ქალადღებს მიგარდება. მოტრო-აღდება. ხალხი ინსტინქტივად წინ გადადგობება. ყვირის: გამიშვით! გამიშვით!

ფანჯარაში შესტება. შუშას ჩაამტკოვებს. გავარდება თოფი, თანდია უკან დაიეხება, სიგლები გათიანტება. ხალხი შეკრება. შემორბიან დარაჯები. შემოვრის დედა.

დედა.

შვილს მივარდება.

შვილო თანდია!

8.

იგინივე, ბატონი, ბაბული, სტუმრები და მოურავი.

ბაბული.

მოჰკლეს!

სურს მივარდეს, ბატონი შეაჩერებს.

ბატონი.

შესდექ!

აქ თქვენ ქურდობაც განვიზრახავთ, არამზადებო!?

დედა

შვილო თანდია! შვილო თანდია!

თანდია.

დედა! ნუ სწუხხარ! მე ცოცხალი ვარ!

მაგრამ სიგელი! უნდა დავიხსნათ!

ცდლობს სიგლებს მოკრიფოს, მაგრამ არ შეუძლიან.

ბატონი.

ჯანდო, აქ მომეც!

ცეცხლთან ჯდება. ჯანდო სიგლებს გადასცემს. თანდის აყენებენ, დედა თავს შეუხვევს.



პართველ მხატვართა გამოცემა.



სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე — კოცნა.

ბაბუღი.

ნება მიბოძე გაგშორდით! არ მსურს...

ბატონი. სიცილით.

ნება გაქვს სრული!

მხოლოდ შენ წელან თვით მოითხოვდი თვალთ გენახა. როცა დაეწვავდი!

ბაბუღი.

არ შემიძლიან! არ შემიძლიან...

სწრაფად გადის.

ბატონი. თვალს გადავლეგებს.

ვინ ინახავდა ამ სიველ-გუჯრებს?

სიჩუმი.

როგორ? დამუნჯდით?

მე გეკითხებით: ვინ ინახავდა?

მათია.

მე ვინახავდი!

ბატონი.

აქ ყველა არის?

მათია სდუმს.

აი, უფურთხ: მე ვწვავ თქვენს იმედს!

ერთი! ეს ორი! სამი! ოთხი! და ესეც ხუთი!

სხვა კიდევ იყო?

მათია.

არა ყოფილა!

ბატონი.

ასე! მაშ ეხლა...

დროშას ცეცხლს შეუეთებს. მსწრაფლ იწვის.

ელიზბარ.

ას! ჩვენი დროშა! ხალხო დროშა!

მსურს ბუხრიდან გამოიღოს. ჯანდო ვბრძვის, ბოლოს ბუხრიდან გამოიღებს, ანელტებს მაგრამ ხელში ტარილა შერჩება. გარს შემო-ეხვევიან.

ბატონი.

ეგ ტარი თქვენთვის ჩემს სახსოვრად მიჩქებია!

სტუმრებს.

ეხლა წავიდეთ, დარბაისელნი!

ფრიდონ.

ჩემს წინადგრძნობას თუ დაუჯერებ...
 თანდია. მწოლიარე შეაჩერებს.

იქნებ გვონით, მასხრად გვიგდებდე,

რომ ამ დამწვარ ტარს გვაძლევ სახსოვრად?

ეგ ნაწილია იმ დიდ იმედის,

ახლა რომ დასწვი...

გულუხეობისთვის მადლობას გწირავთ!

ციბო.

თანდია ჩვენი მომხბრე ყოფილა!

თანდია.

თან წამოიღეთ შეტრუსული ეგ დროშის ტარი! მასზე ვილოცებთ!

ელიზბარ.

მე მას მივაკარე იმ ჩამქარლ ვარსკლავს!

ასლან.

ტუტუტუცი ხალხი!

ფრიდონ.

მართლაც გიყვების გროვა ყოფილა.

ბატონი.

შენ, მოურავო! გაუშვი ყველა,

მხოლოდ თანდია ჯერ აქ დასტოვე!

მაგას წამლობა კიდევ სჭირდება!

გადის სტუმრებთან ერთად. უკან მისდევს მოურავი და დარაჯები.

ციბო. უკბად წამოიმღვრებს.

ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს...

სხვებიც აყვებიან მიმედ გადიან. ელიზბარ ტარით ხელში წინ მიუძღვის.

მათია.

დედი! სიველი შეიდი იყო!

დედა.

ორი დავმალე! აქ ამ გულთან მაქვს.

ყველაზე მეტად საბუთიანი!

გულს გადაუხსნის და აჩვენებს. თანდია სიველს გულში იხუტებს.

ფ ა რ ღ ა .

ს. შანშიაშვილი

სამგზავ, დავის პუნაქული

გაგრძელება

3.

ირბი დიდხანია ღრმა ძილში იყო. როლერს მოუსვენრობა ეტყობოდა. მძინარეს თვალს არ აშორებდა.

გომბერმა და მორუამ მხოლოდ მაშინ შენიშნეს ირბის ხანგრძლივი ძილი, როცა როლერის მწუხარება დაინახეს.

— თქვენ გგონიათ, რომ ეს ძილი საბედისწერაა? იკითხა მორუამ.


— ეგ სიტყვა ჩვენს მდგომარეობაში სრულიად ზედმეტია. მინდოდა მხოლოდ ეს ცოტა ხანი მაინც ფიხზე-ლი ყოფილიყო.

თითონ გაასენდა ბავშვები, რომლებიც სკვერებში დაყავდათ გამზრდელს თეთრ წინსაფარებში. ეს იყო მისთვის უძვირფასესი მოგონება და ჩუმი ხმით უყვებოდა გულ-აყუწებულ გერმანელს ბავშვების პატარა ხელებზე და მსუქან მკლავებზე, რომლებზედაც ხორცის სამაჯურებია.

— რა საჭიროა ეგ ჩურჩული! ილაპარაკეთ ხმაილა! როლერის ძლიერი ხმა გაისმა როგორც ბრძანება. გომბერს და მორუას გაახსენდათ, რომ ასეთ მწუხარების დროს ამხანაგი დავიწყებული ყავდათ. ორივე მივიდა როლერთან, რომელიც ფანჯარასთან იყო აყუდებული.

შუშას შემოქონდა სინათლე. უსაზღვრო ეთერის მე-

ქართულ მხატვართა გამოკვანა



პროფესორი მოსე თოიძე—სამორის მელოდია.

ამერიკელის პასუხმა ისევ მოაგონა ყველას განსაცდელი. შიში, რომელსაც რამოდენიმე ხნის წინათ თითქოს თავი დააღწიეს, ისევ შემოვიდა კაიუტაში.

— მე ვგრძნობ, რომ ჩემში ჯერ კიდევ სცხოვრობს ის ბავში, რომელიც ორმოცი წლის წინ ვიყავი. მენტარება ადამიანის ალერსი, მინდა ვიგრძნო სითბო როცა გულში ჩაგიკრავენ!

გომბერის სიტყვები სხვა მდგომარეობაში ალბათ მორუას ღიმილს გამოიწვევდნენ. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ გოლიათ მამაკაცში ბავშვის ნაწილი დარჩა. მაგრამ ეხლა მხოლოდ თავი შეაბრალებს ფრანგს. მორუას

ტი არაფერი ჩანდა. მოტორი თითქოს დაკიდებული იყო სივრცეში.

— შეიძლება წყალმა გამოაფხიზლოს. ცივი წყალი უსათუთო გააღვიძებს. თქვენ ტყუილათ ნაღვლობთ როლერს.. თქვენეი მშვენიერი საცოლო მალე მოჯობინდება! — მზრუნველობით ამბობდა მორუა.

წყალი გამოლტულიყო. როლერის მეტი მწუხარება დაეტყო, მორუამ ამის შემდეგ მეტი მზრუნველობა გამოიჩინა.

— ვცადოთ რამე. აი ამით—მორუამ ქურქს ბეწვები მოაგლიჯა—სახზე გაუსვით. სახის კანი ნაზია, შეუძლებელია არ იგრძნოს.

ქართულ მხატვართა გამოფენა



სცადეს, მაგრამ ქალის ძილი ვერ დააფრთხეს. ფერ-მკრთალი სახის არც ერთი ნერვი არ განძრეულა. ირბის თავი მოსხლეტით იღვა საფარძელის ყურებზე და მხოლოდ სუნთქვა, მძიმე და ნელი, ამტკიცებდა რომ იყო ცოცხალი.

— შეუხსენით მკერდი და ამ უშუშუმას ღერით ცხვირის ნესტო გაულბიხანეთ. ნუ გეშინიათ, არ ატყეპს!

მორუა ლაპარაკობდა ისეთი შემპარავი და დატკბილული ხმით, რომ როლღერმა გაიფიქრა, — ხომ არ იყო მისი თანამგზავი საწვრიმამლო ღუქნის პატრონი, ან ავენტი რომელიმე ფარმის.

ფრანგი იოანებმა სხვადასხვა საშვალბებმა, მაგრამ აღარც ერთი არ უშინჯავთ, რადგან დარწმუნდნენ, რომ ყველა ცდა უშედეგო იქნებოდა.

— როგორ არ მოგეავანდა აქამდე! წამოიძახა გობერმა — კაიფტაში ჰაერი მძიმეა, გაკეპლულია ბოლით. და ამას გარდა ხომ უნდა გავიფიქროთ ბოლოსდაბოლოს სად ვართ, რა არის ჩვენს ქვევით!

ლონიერი ხელებით მან მოიქნია თუჯის საფერფლე ფანჯრის მინების გასატყეხად, მაგრამ ამ დროს ხელი სტაცა როლღერმა და გომბერი სავარძელს მიაჯახა.

— არ გაბედო! — დაიყვარა მან — ხომ არ გაგაფიქრებულხარ?!

გაკვირვებით შეხედა გერმანელმა აღელვებულ მამაკაცს, რომლის თვალბში პირველად შეინიშნა შიში.

— თქვენ შეგძლოთ ყველანი დაგელუქეთ მაგ უაზრო მოქმედებით — სთქვა ცოტა ხნის შემდეგ როლღერმა, რომლის ხმაში ჯერ კიდევ შიში ისმოდა, — მე დარწმუნებული ვარ რომ ვართთ ძლიერი ჰარია. მისთვის საქმეა პატარა ქურჭუტანაც კი, რომ შემოიქრას მთელი ძლიერებით. შემდეგ კი, თქვენც მიხედვით რა მოხდება.

4.
ბნელს ნელინელ სცვლიდა ნათელი. მხოლოდ ეხლა შეამჩნიეს, რომ დაბნელება, რომელსაც ლამედ სთვლიდნენ, არ იყო ხანგრძლივი.

მათ უკვე დაებდათ ეჭვი, მართლა იყო ეს ლამე, თუ არა. შესაძლებელია მათ წაერთვით დროის გაგების გრძნობა!

განუსაზღვრელი სვედით და სასოწარკვეთით ხედებოდნენ ისინი ყოველ დაღამებას. ასეთი ღრმა ბნელეთი არ განუცდიათ იმ სარდაფებშიც, სადაც ნათელი არასოდეს ჩასულა. ეს ლამეები იყო ცოცხალი, ღონიერი, სავე ხორკით, მსუქანი.

—
გათენების დროს იზრბი გარდაიცვალა. მოკვდა შეუშინეველად, გაულციდარი.

— მე გავიგონე მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა..

— სახე ისეთივე მკრთალი აქვს, როგორც ძილის დროს. ალბათ ჯერ არ გაცივებულა..

— შეიძლება სთქვა რამე სიკვდილის წინ. მე არაფერი ვამიგონია..

— როლღერს მისი თავი მკერდზე ესვენა. თუ თქვა რამე, გაიგონებდა..

— ალბათ არაფერი უთქვამს. ის ისე ჩუმით მიიკვალა.

— ახლა უკეთესია ირბი: წინათ თითქო არ იყო ასე კარგი.

მორუა და გომბერი ისეთი ჩუმ ხმით ლაპარაკობდნენ, თითქო ერთმანეთს საიდუმლოს უზიარებდნენ.

დღის ნათელი თანდათან ძლიერდებოდა. მორუამ და გომბერმა უკვე ვარკვევით დაინახეს ქალის სახე, რომელზედაც გაცივებულიყო ფერი, გალურჯებული ტუჩები,



მაგრად შეკრული ქუთუთოები. სავარძელის სახურავზე, როგორც მილურსმული ესენა თავი. სიკვდილი იყო საკვირველი, მაგრამ არ იწყვედა ტკივილს.

კაიუტაში ყველაფერი გამოიკვალა, სხვა სახე მიიღო, თითქო პირველად შენიშნეს სივრცოვანი, კედლები ძალიან მაღალია და კუთხეები ბნელი, სადაც შეიძლება ვინმე ჩასაფრებული ყოფილიყო დანთი ხელში.

— რა ნელა მიზოზავს დრო. ასეთი გრძელი არაოდეს ყოფილა! ჩაილაპარაკა გამომგზავნი. მორუას ატელებმა ეტყობოდა.

— აქამდე კიდევ მქონდა სულელური იმედი. აღარ შემძილა კაიუტაში ყუნა!

— გათავადეს მაინც ეს გაურკვევლობა! რა ხდება ჩვენს იქით?!

გერმანელს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს საევარძელიდან წამოიჭრა როლლერი, ნერვიული საბიჯით რამოდენიმეჯერ გაიარა კაიუტა და შემდეგ თანამგზავრებს მიმართა:

— ვთხოვთ ხელი შეახოთ ირბის, დარწმუნდეთ და მეც დამარწმუნოთ, რომ საუკუნით ვაიცვად.

გამომგზავნი და მორუა მკვდართან მივიდნენ. — ხელები ვერ გაუხსენი. სისხლი და ძარღვები გაცივებულია...

მორუამ ისე ფრთხილად დაუშვა კვდარის ხელები, თითქო კიდევ ვინიოდა ტკივილი არ მიეცენებია. როლლერმა შეკრად აიტაცა ქალის გვაში, დაუკონა ხელები და ვიდრე გამომგზავნი და მორუა დაყვირებას მოასწრებდნენ, გასტეხა ფანჯარა და ისროლა ირბი.

გაფთოვებული ვეფხვივით შემოიჭრა საშინელი ქარა და თინაინი ფირფიტა, რომელიც ამდენხანს არ ანებებდა ადამიანთა სიცოცხლეს, მოწყვეტილი ვარსკვლავივით დაეშვა უფსკრულში.

5.

როცა როლლერი გონზე მოვიდა, დაინახა თავისი დასისხლული ხელები და მიწა დაფარული მაღალი ბალახით. სახეზე იგრძნო მიმზმარი სისხლი და ტკივილები მთელ ტანში.

შორი ახლოს გულაღმა ეცლო მორუა. გამომგზავნი და მოტორი არსად სჩანდნენ. უსაღებით და გაკვივრებით მიტოვდა როლლერი მორუასთან. დაჯანჯრულ სახეზე მას სისხლის შავი პულსი ეყარა და ხორცი დაღურჯებოდა.

— ალბათ კვდარია. გაიფიქრა როლლერმა, მაგრამ როცა ხელი შეახო, იგრძნო სიახში და შემდეგ სუნთქვა.

— მორუა! ბატონო მორუა! ყურში ჩასძახა როლლერმა.

მორუამ ერთი წუთით გამოიხედა. მაღლ როლლერს და მორუას ისევ დაქინდათ.

როცა გამოეღვიძათ, დაინახეს შუე და იგრძნეს სითბო, რომელიც მას დაავადებულ სხეულში შემოქონდა.

— ასეთი მაღალი ბალახი ზღაპარშიც არ გამოგონია! მორუას ხმის გამოქონდა ტკივილები, რომელიც ხორციში იყო.

ბალახი, ტანაყრილი და მწყანე როგორც ახალ გაზაფხულზე, უშლიდა დაენახათ რა იყო გარშემო.

— როლლერმა გაბედა მუსხლზე წამოიჭება.

— მე ვხედე ველს, მთებს მაღალს და ტკით დაფარულს, ხეებს, უზარმაზარ ხეებს. როგორც სჩანს ადგილი ძალიან ნოყიერია. შემძილა თამამთ ვთქვა, რომ ეს ევროპა არ არის. არც ამერიკა. ჩვენ დავტოვეთ ეს შეუძლოდმა, მცნარე შეუცხოებელი და მუდამცხრალი. ამას გარდა, არსად მეგულებვა ევროპაში მიწა ასეთი გულხედი და ზღაპრული სილდე ხეების. ჩვენში მათ დიდი ხანია მოხვედნობდათ ტრესტების ხერხის კბილები.

— მაშ სადა ვართ? იკითხა მორუამ

— შეიძლება რომელიმე კუნძული იყოს. მე ვკრძანობ ზღვის რბილ ჰავას.

როლლერი და მორუა მალე მოლონიერდნ და წამოდგომა გაბედეს. გაიარეს რამოდენიმე ნაბიჯი და შეკრად წააწყდნენ დაგრეხილ რკინელს, რომლის გარშემო ეყარა ფერფლი და ადამიანის რამოდენიმე ძეალი.

— როლლერი! ხედავ თუ არა!

— ჩვენი მოტორი!—დაიყვირა როლლერმა—მაგრამ ეს ძეგლები?

— საბრალო გამომგზავნი, დაუწია ხმას მორუამ, მას კიდევ ჰქონდა ვადარჩენის იმედი!

როლლერმა და მორუამ დანიშნეს კატასტროფის ადგილი და წავიდნენ იქით, სადაც ხეები მოჩანდა.

ძნელი ხდებოდა ბაოახში სიარული, მაგრამ ტკივილები და წყურვილი აწუხებდა ორივეს და თავს არ აზოგებდა.

როცა დასიცხავდათ, თავს ბალახებში ჩარგავდნ და შემდეგ ისევ მზიან ზგას გაუდგებოდნ.

— ვიცე ეს სიზმარი არ არის, მაგრამ ზღაპარს კი ვაგეს! სთქვა მორუამ, როცა ხეებს მიუახლოვდნ.

გაკვივრებით და სასოვნით უყურებდა ორივე მიწის ბუმბერაზ ნაწიერს.

ძელქვები იღვენ როგორც გორები.

ჯერ ბევრი არაფერი გვინახავს, მაგრამ რაც ენახეთ საკამარისა დაგარწმუნდეთ, რომ ჩვენ ვართ სრულიად უტყნო მხარეში. როგორც სჩანს ბევრ საკვირველს ენახათ კიდევ. უნდა იყოთ მზათ ყოველივე უცნაურისათვის!

როცა ისინი შევიდნენ თვალ-უწვდენ ტოტების ბნელ გადმოფარდულში, დაინახეს ადამიანი, რომლის წინაშე გამოჩდნენ მწერებდა, შიშით შეხედეს დევს, მაგრამ გაბედეს და კითხეს:

— რა ქვია ამ ქვეყანას?

— ტამბუკა, დევის კუნძული!

უპასუხა დევმა ხმით, რომელმაც მეხვიით დასქექა.

ხერგეი კლიაშვილი.

(შემდეგი იქნება)

საგნარი-გაპუნინი-ჩაპელი

(დადი შეხვედრა).

არიან წარსულში შემომქმედ პიროვნებათა ისეთი შეხვედრები, რომელნიც იდეათა ელეთი ანათებენ უკუნი გზებს, მოდგმათა მაღალ ალტაყების საგანდ ხდებიან და თავისი მოვლენით უკვე წარმოადგენენ ისეთ თვალწვდენ მწვერვალს, სადაც კაცთა გენია ისვენებს გაღაფილ შევნიების საზღვრის წინ.

ასეთ შეხვედრაათა რიცხვს უსათუოდ ეკუთვნის რიკ-არდ ვაგნერის, ავგუსტ რეკელის და მიხეილ ბაკუნინის მეგობრობა დაწყებული 1848 წლის რევოლუციის წინ.

დიდი ვაგნერი, — რომელმაც, მისივე სიტყვით, იგონო თავი ერთად ერთ შემომქმედათ, ვისაც ეძნოდა თანამედროვე ეპოქის მოძრაობა, რომელმაც თავის „ხელოვნება და რევოლუციონიზმი“ დაკვანახა ანტი-მხატვრული მიმართულება ყოველივე იმის, რასაც უწოდებდნენ ხელოვნებას, რომელმაც „მომავლის ხელოვნებაში“ ამხილა თანამედროვე შემოქმედების უნებობა, ყველა თვის შტოებით რომ სპობდნენ ერთადერთ მის ფუჭეს და წინ დაუყენა მის ჭეშმარიტ მომავალი ხელოვნება, ღრმად დაკავშირებული ცხოვრებასთან და ამასთან დახატა სურათი, რომელიც იყო სრული უარისყოფა თანამედროვე მონუმენტალურ, მოდის შემოქმედებისა, — შეხედა დრეხლენში ახალგაზრდა კომპოზიტორს ავგუსტ რეკელს. უკანასკნელზე ისე მშფოთ იმოქმედა ვაგნერის გენიალობამ, რომ რეკელმა უარი სთქვა თავის ოპერას „ფანირულის“ დადგმისა იმ სცენაზე, სადაც იდგებოდა მისი დიდი მეგობრის დაწარმოები. იმ დროის ერთი მწერლის სიტყვით იგი ვახუშტის „ვაგნერის ცოცხალ ლანდიანთ“. როდესაც ფილისტრების და კრიტიკის ჩხავილით მომბერებულმა, „ტანპოიზერის“ და „მოხეტე მზღლავურის“ უბედურებით გამწარებულმა ვაგნერმა თავი შეაფარა განმარტობულ სოფლის ელბას ნაპირზე, ავგუსტ რეკელი იყო ერთადერთი აღმანიანი, რომელსაც იგი უწიარებდა თავის ახალ იდეებს და უინტიმეს განცდებს.

მაგრამ თუ ამრიგად შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება თითქმის რეკელი ყველაფერში ემორჩილებოდა თავის გენიალურ მეგობრის გავლენას, სამაგიეროდ მათი დამოკიდებულება მეგობრისადმი ისტორია გვიჩვენებს, რომ იმ ამბებში, რომლებიც დაკავშირებულია 1848 წ. დრეხლენის ამბობებასთან, ხელმძღვანელი როლი გადავიდა რეკელის ხელში. 48 წელში ჩვენ ვხვდებით მეგობრებს დრეხლენის სამეფო ოპერის დირიჟორთა თანამდებობაზე. როდესაც პარიზში იგრაილა თებერვლის რევოლუციამ, რომელმაც საერთო მღვლავარების ქარიშხლად ჩაიარა გერმანიაში, რეკელმა გამოუშვა ყოველკვირული ჟურნალი „ხალხის ფურკელი“, სადაც თამამად ისმოდა მღვდარის ხმა პროლეტარიატის მოთხოვნილებათა დაკვისათვის. ჟურნალი დახუტეს, რეკელი დაითხოვეს დირიჟორიბიდან და დაატყვევეს.

მაგრამ რბრებისებმა ვერ გასტეხეს რეკელის ენერჯია. ყოველივე ის, რაც ჩვენ ვიცი მასზე, მოწმობს ამ წყნარ პოლიტიკურ მოღვაწის ჭეშმარიტ გმირობას, მის რწმენას ადამიანისადმი, რომელიც, ვაგნერის თქმით, კლდე ვარაუდვედა, მის ღრმა ერთგულებას რევოლუციონერის ვალისადმი. ვაგნერზე, რომელიც რევოლუციონიზმში ეძებდა მხოლოდ წმინდა კაცობრიულის განსახიერებას,

ქართულ მხატვართა გამოყენა



მის. ვაგნერი — ქობიაძე.

რომელიც პოლიტიკურ პარტიათა გარეშე იყო, მაგრამ იმავ დროს მხურვალე რწმენა ჰქონდა მისი გმირებისა, რეკელის პიროვნებაში დიდი მიზნდველი გაუღენა მოახდინა.

რეკელს რევოლუციონერ - პოლიტიკურ აზრის განვითარებაზე მეტად დიდი გავლენა მოახდინა მიხეილ ბაკუნინის გაცნობამ, რომელიც საქსონიის აჯანყების დროს დრეხლენში ცხოვრობდა და პოლიციის ემალეზობდა რეკელის სახლში. რეკელმა გააცნო ვაგნერს ეს უდიდესი ავტორი. თავის ცეცხლიან იდეალიზმით, რევოლუციონერ ნერვებით რწმენით ბაკუნინმა წარმოელია შთაბეჭდილება დასტუვა მასში, ზოგიერთი ხაზი ბაკუნინის პიროვნების უთუთო გამოქვეყნის ზიჯორილის მხატვრულ კონცეპციას, სადაც იგი დედუკაციოდ ამხერეეს „ხელშეკრულებათა შეზეს“, რათა გზა გაუკაფოს ახალ ცხოვრებას. რეკელის ურყევმა რწმენამ და ბაკუნინის ავტორიტორის ტალანტმა აიძულეს ვაგნერი გადაეღება თავისი სიძულელი ყოველგვარ პოლიტიკურ მოძრაობის ხელოვნურ პირობათა მიმართ და მიეღო მონაწილეობა დრეხლენის აჯანყებაში. ეს აჯანყება ბარბაროსული სისასტიკით აქმნა ჩაქობილი საქსონიის მთავრობის მიერ. ვაგნერი იძულეული იყო შევიცარიაში გაქცეულიყო, ხოლო რეკელი დაიჭირეს, ჯერ მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა და შემდეგ კი ჩასვეს ვალდებობის ციხეში, სადაც მან დაპო 13 წელი და წმინდა სპარტანულ თავდაპირთი გადაიტანა ტყვეობის უმძიმეს პირობებში, რომელთა სისასტიკე აუწერელი იყო მის მიმართ, როგორც დრეხლენის რევოლუციის ბელადისადმი. თავის წიგნში „საქსონიის ამბობება და ვალდებობის ტყვეობა“ რეკელი შეხსარავს სიპარტივით მოგვიხსნობრებს თავის ცხოვრების ამბავს ცი-



ძარბაზველი მხატვართა გამოფენა



სესიაშვილი—წითელ დროშის ქვეშ.

ხეში. ასეთი ზნეობრივი სიდიადე რეკელსა პატივისცემას იწვევდა თვით მეციხოვნეთა შორისაც კი. რეკელს მისჯილი ჰქონდა უვალო ციხე და მთავრობა 13 წლის ტყვეობის განმავლობაში მოითხოვდა არა ერთხელ, რომ, თუ რეკელ თითონ აღძრავს მეფის წინაშე პატიების შუამდგომლობას, შესაძლებელი გახდება მისი განთავისუფლება, მაგრამ გმირი არ ტყდებოდა. რეაქციონერი საქსონელი მინისტრი ბეისტი თავის მოხსენებაში მეფის სახელზე ამბობდა—„შეფუთვნილია არ აღინიშნოს, რომ ამ გაუტყდებლობაში და ურყევ ნებაში არის რაღაც ანტიური ძალა, და რეაქციონერთა შორის არა მგონი რომ მოინახოს კაცო, რომელმაც თორმეტი წლის ტყვეობის განაღდების შემდეგ, არ მოიხაროს თავიო“. რეკელი განათავისუფლეს, რის შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა. ფრანკლისტი სწერდა „მოგვიცალდა ეს საკვირვალად რბილი, ჰუმანური, მშვენიერი ადამიანიო“.

აჯანყების შემდეგ შევიცარიიდან საფრანგეთში გადახვეწილმა ვაგნერმა 1850 წ. მარტში გაიგო, რომ რეკელს და ბაკუნინს სიკვდილი მიუსაჯეს და სწერდა მათ საიდუმლოდ საქსონიის ციხე „ქაონიშტეინში“:

„ძვირფასო მეგობრებო! გწერთ, მაგრამ იმიტომ კა არა, რომ განუწყვთოთ. ვიცო, ნეტგშ თქვენ არ საჭიროებთ. ეს-ც არის ჩემამდე მოაღწია ამბავმა, რომ საქსონიის მეფემ დაამტკიცა თქვენი სიკვდილი დასჯის განაჩენი.—და მე მინდა მოვანიჭოთ თქვენ პატარი სიხარული, მინდა მხურვალეთ, ძმურად მოგესალმეთ. სასოწარკვეთით ვფიქრობ იმაზე, რომ, იქნება, ამ სტრიქონებმა ვერ მიაღწიოს თქვენამდე. ვისურვებ მხოლოდ, რომ ამ სიტყვებმა ისევ ცოცხლებს მოგისწერათ თქვენ.“

ძილში თუ ცხადლივ—ყოველთვის თქვენ ახლობელი და ძვირფასი იყავით ჩემთვის: ძალის და ტანჯვის შარავანდელით მოსილნი, ერთ და იმავე დროს შურის და ცრემლების ღირსნი ხართ. გწერთ იმ წუთებში, როდესაც მზადა ხართ მიიღოთ სიკვდილი ჯალათის ხელიდან, რომლის ადამიანურ ღირსების მოპოებისათვის თქვენ

იბრძოდით. ძმებო, მე მინდა გამოვიტყუთ წიგნს სულ-მოკლებოაში: თქვენი სიყვარულის გამო მე ვოცნებობ-კი მე მივხვდი; თქვენი ძალის და სიდიადის თანაბარი ყოფილა ის სასტიკი ხვედრი, რომელიც თქვენ მოგიზნადეს მტრებმა. თქვენმა ძალამ და გამბედაობამ აიძულა ისინი ვადანჯღავათ ასეთი თავზე ხელაღებული ნაბიჯი. ამით მათ გამოამკლავნეს თავისი თავყენისცემა თქვენს წინაშე. თქვენ შევიძლიათ იამაყოთ, ძვირფასო ძმებო! გახსოვთ, რა მიგვაჩნდა ჩვენ ყველაზე აუცილებლად იმისათვის, რომ ადამიანები გარდაქმნილიყვნენ ნამდვილადამიანებად? აუცილებელი იყო, რათა რაიმე აიძულებდეს მათ გახდნენ გმირებად: და ჩვენს წინაშე, ეხლა ორი ასეთი გმირია, ადამიანთა სიყვარულის წმინდა მოთხოვნისებით გატაცებული, კეშმარიტ ვეჯცაკობის სიხარულს რომ მისწვდნენ! სალამი თქვენ, ძვირფასებო! თქვენ დავგანახეთ ის, რათაც შეიძლებოდა ვყოფილიყავით თვითეული ჩვენგანი. დასტურეთ ქვეყანა იმ ვერბობით, რომ ჩვენ შევივანეთ თქვენი ახალი მნიშვნელობა.

ნება მომეცით მე, თქვენგან დაშორებულ მეგობარს, ერთი წვეთი სიტკბო შევმატო იმ საზეიმო ფილას, რომელიც თქვენ უნდა შესვთ. მინდა შეგატკობინოთ, რომ უმაღლეს მეგობრობით, სიყვარულით და მზრუნველობით გარემოცული, თავისუფალი, მე სრულის იმედით შევეფურობ მომავალს და, ახალ ძალებით ფრთა შესხმული, განვაჯობბ იმავე საქმეს, რომელსაც თქვენ, გმირებო, ეხლა სწირავთ სიციცხლეს. ჩემო მიხილ, ჩემო ავგუსტ! ძვირფასო, საყვარელო, დაუფიყარო ძმებო! თქვენ იციცხლებით! თქვენი ამბავი სულ უფრო ფართოდ მიოდება ხალხს და თქვენი სახელი მომავალ კაცობრიობისთვის გახდება სიმბოლოთა სიყვარულისა და ნეტარებისა. მაშ შეზვდით სიკვდილს გაკვირვების, თავყენისცემის და სიყვარულის ქვეშ!

თუ მე ბედმა მიწერია გამოუთქმელი ბედნიერება თქვენგან უკანასკნელ სალამის მიღებისა,—თქვენ იცით სად უნდა მიპოვოთ. ნეტავი ეს ჩემი წერილი მოვიდეს თქვენამდე, და ევეცო არა მაქვს, რომ თქვენ აღასრულეთ ჩემს მხურვალე სურვილს.

ძვირფასო ძმებო, ჩემი შეყვარებული სულის მთელი ძალით მოგვხვევით. ჩემი მოცემა და ჩემი ცრემლით ვეზიარები იმ დიადობას, რომლის სხივები ეხლა გმოსავს თქვენ ჩემს თვალში. სიხარულით და ამაყად მინდა მე, როგორც თქვენ, შეგსწირო ოდესმე ჩემი სიციცხლე ჩემი მეგობრობის საკურთხეველს.

თქვენი რიზარდ ვაგნერი.

ვაგნერის ეს წერილი თანაბარია მისი „პარსიფალის“ ლოკის. იგი აგვიჩვენებს „რღვევის მოციქულის“ ბაკუნინის დიად მხვედრას ორ გერმანელ ნისლოვან გენიასთან და შვგ დაუტყენელ უკანასკნელ სიმართლით და დახვეწილ სისადავით გვაჯერებს რეგულიუციის პათოსის და ხელმოწერის გრავალის სინტესს.

აღი არსენიშვილი.



ყ ა ზ ბ ე გ ი ა ნ ა

ალექსანდრე ყაზბეგი

(მოჩხუბარიძე)

ოთხმოციან წლებიდან მე ვმსახურობდი „დროების“ რედაქციაში.

მასხოსე კარგათ როდესაც მოვიდა, ახლად უღვაშ-ამწვანებული, ახოვანი მშვენიერი ვაჟკაცი, ალექსანდრე ყაზბეგი და დაიწყო თანამშრომლობა გაზეთ „დროებაში“, რომელიც გამოდიოდა აწ განსვენებული სერგეა მესხის რედაქტორობით.

ალექსანდრეს არ უყვარდა ქუჩებში ტყუილ--უბრალოდ სიარული, ის მუდამ მუყაითად მუშაობდა.

სწერდა ისეთი ბეჯითობით, რომ ხანდახან სადილის ჰამაც კი ავიწყდებოდა, თავ-თავის დროზედ.

იმისი დასვენება იყო თუ სხვა თანამშრომლებთან ერთად, საღამო--საღამოობით წავიდოდა ალექსანდრეს ბაღში, შუშუხანა წყალის დასაღვავათ, სადაც გერმანულ შენინგს ქონდა შუშუხანა წყალის ქარხანა და გველი სეფა („პავილიონი“), სადაც ხალხი ათასობით იყრიდა თავს ყოველ საღამოობით. თუ თბილისში მყოფის ან ახლად მოსულის ვისიმე ნახვა უნდოდა აქც უსათუთო აქ შეხვდებოდა. აგრეთვე უყვარდა ალექსანდრეს ქართულ თეატრში სიარული.

ალექსანდრე ყაზბეგი, არას დროს არ ეტანებოდა რაიმე მეთარბებლა სასმელებს, არ მასხოსეს, რომ ალექსანდრეს წყალაურეველად დაელიოს ღვინო, კარგათ-მყოფობის დროს.

მასხოსე სტამბაში „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხი (სადაც მელოტიკევილის სტამბა იყო).


„დროების“ ასოთ-ამწყოებში იყვნენ ზაქარია რუსი-შვილი და დიმიტრი კილაძე, ხანდახან მეც კი ვვუვლო-დი ასოების გადარჩევაში და რადანაც მაშინ ქართველი ასოთ-ამწყოებში ძალიან კოტანი იყვნენ და რედაქციასაც არ ჰქონდა შეძლება რომ მოეწვია ახალი ასოთ-ამწყოები, ამისათვის, იმუღებულა ვახდა რედაქტორი სერგეი მესხი, თითონ შეესწავლა ასოთაწყოება და ხშირად ჩამდგარიყო ასოთ-ამწყოებთა შორის და აწყო გაზეთი.

ხშირად გამგზავნიდნენ ხოლმე ალექსანდრე ყაზბეგთან, ვახეთისათვის მასალის მოსატანათ.

შვიდობილ ალექსანდრეს პატარა ღარიბულად მოწყობილ ოთახში მასალის წამოსაღებად და შეწერდებო-დი, რადანაც ალექსანდრე ისე ვატაკებოდა მუშაობდა რომ შესულს ოთახში ვერც კი შემამჩნევდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ შევეხმურებოდი:
— სანდრო! მასალა არის საჭირო თუ მზათ არის გადმოცემა შეთი.

— აი ახლავე ჩემო სოსიკო! მომიტმინე ცოტა, დავათავებ და გადმოვცემო. ამ გვარად მიმქონდა ფულეტონ-ები, ალექსანდრეს მთელი უკვდავი თხზულებები: როგორც „მოძღვარი“, „მამის მკვლელი“ „ელფუჯა“ და სხვა-ნი, რომელნიც ჩვენ თვალწინ არის დაწერილი. და როდესაც ამ ბოლო დროს, ვახეთებში ატყდა მითქმა-მითქმა, რომ ალექსანდრე ყაზბეგისა კი არ არის, იმის სახლი-კაცს დიმიტრი ყაზბეგს ეკუთვნის ალექსანდრე ყაზბეგის უკვდავი თხზულებანიო, მე, როგორც ამ ამბის ცოცხა-



ალ. ყაზბეგის ავტოპორტრეტი ცოცხალი მოწმე: ს. მერკვილაძე.

ლი ისტორია და ნათლათ მკოდენ ქეშვარიტებისა, საშინ-ლად ამაღლევა და გამაოცა ამ ქვენა გრძობებით მოკო-რილმა ცილის წამებამ.

მე დიმიტრი ყაზბეგსაც ძალიან დაახლოვებით ვიც-ნობდი.

დიმიტრი იყო გარუსებული (ქართული არც კი ეხერ-ბოდა) არისტოკრატი კაცი, ძალზე მსმელი და დიაცთა მიმდევარი.

დიმიტრის კარგა ხნის ვაცნობის შემდეგ, ერთხელ სოფ. ავლევიში, ალექსანდრე ამირაჯიბის ოჯახში, დილის საუზმეზედ, ძალზედ მთვარალმა დიმიტრემ სუფრაზე მო-სამსახურე გულგუჯას გაუშვირა ღვინით სავსე ყანწი და უბრძანა „დალოე“.

— არ შემიძლია, ბატონო, ღვინოს ვერ დავლეო, მოახსენა გულგუჯამ.

— დასცალე მე შენ გიბრძანებო, შეუყვირა დიმიტ-რის.

— ღვინოს არ ვიახლები, ბატონო! კიდედ შეჰკადრა. — ამა თუ არაო... და შიგ სახეში შეისხა მთელი ყანწი ღვინო. ამ ამბავმა იქ დამსწრეებზედ და სხვათა შორის ჩემზედაც ძალიან ცუდი შთაბეჭდილება იქონია. მაშინ დეგერდში მჯდომმა ბიბო ყაზბეგმა უთხრა— დამშვიდდი დიმიტრი, ამა რას ჩაიდინაო?.

— აი მე მაგას ვაჩვენებო, წამოიძახა დიმიტრემ. მაგ-რამ იმავე წაშს ნიკა ამირაჯიბმა სწრაფად გაიყვანა გლე-ხი და მთარიდა.

ბიბო ყაზბეგი ზორბა, მშვენიერი ახოვანი ვაჟკაცი, სიძე იყო ალ. ამირაჯიბის და ბიბოს მოჰყვებოდა ხანდა-ხან დიმიტრი--ავლევიში.

დიმიტრი ყაზბეგზე ამ ბოლო დროს ამბობენ, ვი-თომ ის „ნაროდნიკი“ (ტუტიათა მოტრფალე) ყოფილ-იყოს. უნდა გულახდით აღვიარო, რომ დიმიტრი ყაზბე-გის ბუნებაში და მოქმედებაში არავითარი „ნაროდნი-კობის“ ნიშან-წყალი არ სუფევდა და არ მოიპოვებოდა.

ქალღმერთების

მეშხერი

ტრედისფერ ცაზე ჩრდილი ტრიალებს.
 მინდორზე ზანტად წვება უქუნი;
 უცხო ფერებში სწრაფად იალებს—
 დარბევს მწუხრის შორი გუგუნნი.
 პელების ფრენა ჰაერში ნელი...
 ფრთა აწყვეტილი ოცნების რაში.
 სევდის საათი მოულოდნელი:
 ყველა ჩემშია და მე—ყველაში!
 მწუხრო, ლავარდის შუქი ცხოველი
 ჩემ სულის სიღრმეს აფრქვე წყნარად.
 ნაირ სურნელით მორწყვე ყოველი
 და დაეპყრე მაღამის დარად.
 სულს ისევ უნდა ამაყი თრობა!
 თავდავიწყების მიმღერე ნანა.—
 მომეცი შეცევა მარადისობა
 და შემაერთე მთელეშარ ქვეყანას.

თარგმ. ვახო გორჯაძის.

დემიტრი ყაზბეგი, ერთხანს სასამართლოს ბოქაუ-
 ლათაც იყო დღეშეთის მახარაში და ყველას მოეხსენება ის
 რომ, ღარიბები სესხულობენ მდიდრებისაგან ფულს და
 ეს ღარიბები ვერ ისტუმრებენ თავ-თავის დროზე ვა-
 ლებს და სწორედ, მდიდრების დასამყავთებლად, ამ
 ღარიბ ლატაკებისათვის უნდა გაეყენა სასამართლოს
 ბოქაულს უკანასკნელი ავეგი, უკანასკნელი ლუკა პური.
 ამ საქმეს კი რწმენით „ნაროდნიკი“ ვერ იყისრებს,
 ახლოს არ გაეკარება.

და სწორედ ამ ბოლოს დროში არც დემიტრი
 ყაზბეგის „ნაროდნიკობა“ გაუმეღია არავის და აზრათაც
 არ მოსვლია არავის ამის მსგავსი რამ.

რომ დემიტრი ყაზბეგს არ შეეყო ალექსანდრე ყაზ-
 ბეგის მიერ შექმნილი უკვდავი თხზულების, ცოტაოდ-
 ნად მიიწე მამაგავესებული რაიმეს შექმნა და დაწერა
 ეს ცხადზე უცხადესია.

და ამ ქეშმარიტებას დაამტკიცებს ყველა ისინი, ვინც
 დემიტრი ყაზბეგს კარვად იცნობდა—მის პიროვნებას,
 მის ბუნებას და მის აზროვნებას.

მაგრამ ჩემს დრომ რწმენით ყველა ეს სახიზლარი
 ქორები და ცოლის წამება წარმოშვა ყაზბეგთან გვა-
 რუელობის მეზობლურმა დაუშრეტლმა შურმა და ამ სა-
 შიხელი ქორების ჯანყში გაეგია, თვის უნებურად და
 დათ პატივცემული მიხილი ზანდუკელი. როგორც კი დაი-
 ნებდა პატივცემული მიხ. ზანდუკელის წიგნი ამის შესა-
 ხებ, მე მაშინვე განუტყუადე მიხილ ზანდუკელს რომ ის
 მართალი არ არის და შეუცოლაზნა ჩავარდნილი.

ყველა განსვენებელი ალ. ყაზბეგის სახელით გა-
 მოცემული თხზულებანი ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ
 ალექსანდრე ყაზბეგს და არავის სხვას დედამიწის ზურგ-
 ზედ.

მე თითონ ცოცხალი მოწამე ვარ, ცოცხალი ისტო-
 რია იმისი, როგორ ჩამოვიდა ალ. ყაზბეგი ტფილისში,
 როგორ მიიწვიეს თანამშრომლად ვახუთ „დროებში“.

ჩემს თვალწინ დაწერილია ალექსანდრეს მიერ მისი
 თხზულებანი: „ელგუჯა“ „მიოდვარი“ „მამის მკვლელი“
 და სხვანი.

ალექსანდრე ყაზბეგი გამბიოთა სწერდა და ხანდა-
 ხან დამთავრებული რომ არ ჰქონდა ფელეტონები, ხში-
 რად ვუტყდი, ველოდებოდი დამთავრებას, რომ წამელო
 რუდაქციაში და ხანდახან პირდაპირ სტაპაშიც ხოლვე.—
 სადაც აწყობდა ვახუთს „დროების“ რედაქტორი განსე-
 ნებული სერგეი მესხი.

— ვეგების ალექსანდრეს წიგნი ჰქონდა და იქიდანა
 სწერდა, მიიხრა ახ. ზანდუკელმა.

შემიძლია ბეგითად დავარწმუნოთ, რომ ალ. ყაზ-
 ბეგის ღარიბულს ოთახში, არავითარი წიგნების ნატამა-
 ლი არ ყოფილა, გარდა დამტკილი ვახ. „დროების“
 ნომრებისა და ფრანგული ჟურნალებისა (ალ. ყაზბეგმა,
 სხვათა შორის, ზედმიწევნით იცოდა ფრანგული ენა).
 გარდა ამისა ალ. ყაზბეგი ათი—ხუთმეტი წელიწადი იყო
 გამოსული სამწერლო ასპარეზზედ და სად იყვნენ ეს
 ცილის მწამებლები და მექორეები (ალექსანდრე ყაზბე-
 გის შურიან მებოლებს ვფულისხმობ), რატომ სდუმდნენ,
 რატომ გრთი სული არ დაბერეს—ერთი არა დაღლიდნი-
 ლეს რა სანდროს სიცოცხლეში?

გარდა ამისა დემიტრის მოზრდილი შვილები ჰყავ-
 და როსტომი და სხვანი, ვანა ისინი მაშინვე, ალექსანდ-
 რეს სიცოცხლეში არ ამიოღებდნენ ხნას და ქვეყანას არ
 ამქნებდნენ, რომ რაიმე იოტის ოდენი მსგავსი რამ ყო-
 ფილიყო!?

თუ ყავკავში გახუთი „თერგის უწყება“ არ დაბეკ-
 დავდა, მაშინ ტფილისში, რამოდენიმე უურნალ-ვახუთი
 გამოდიოდა საქართველოს მოძულე მტრებისაგან და იქ
 ხომ სიხარულითა და ზემით შეხედებოდნენ ამ ამბავს.

მაგრამ არა! ეს არის ალექსანდრე ყაზბეგზედ შე-
 რით გამოკონილი სახიზლარი ქორი და ცილის წამება.

ამისათვის ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობა მოით-
 ხოვს ჩვენ ხმა მალა შეცმახობთ ამ საშინელ ცილის წა-
 მებაში და ქორებში გახეულთ და მათ ფეხის ამყოლ
 ავან-ჩავანებს

კმარა!..
 შესდგეთო!!

სოსიკო შერკვილაძე.



„ალ. ყაზბეგის ავტობიოგრაფიის გარშემო“

(მოგონება)

ამ უკანასკნელ დროს ალ. ყაზბეგის ავტობიოგრაფიის გარშემო ერთი აურო-ზაფრია ატეხილი ერთის მხრით მოკ. ზანდუკელი და მეორეს მხრით თანამოწმენი ალ. ყაზბეგის მწერლობითი მოღვაწეობისა კამათობენ: პირველი ამტკიცებს, რომ ალ. ყაზბეგი არ ყოფილა ავტორი მისგან გამოქვეყნებულ ნაწერებისა, რომ იმას ეს ნაწერები მიუსაკუთრებია და ყაზბეგის ნაწერებიდამ. ხოლო მეორენი—სულ ამის წინააღმდეგს ამტკიცებენ.

ნება მომეცით ამ ორიოდ სიტყვით ჩავდევ ამ უკანასკნელთა რიგში.

ოთხმოციან წლების დასაწყისში, როდესაც თუ არ ვცდები, ალ. ყაზბეგმა დაიწყო თავის ნაწერების ბეჭდვა გაზ. „დროებაში“, მე ქუთაისში ცეცხოვრობდი და ემსახურობდი, მაგრამ თბილისის ხშირი სტუმარი ვიყავი, თუ ქალ. ქუთაისის საქმეების გამო, თუ ისე უქმეებზე—თავისუფალ დროს. თბილისში ბინა უმეტეს ნაწილ „დროების“ რედაქციაში მქონდა, რომელიც იმ დროს მუხრანსკის სახლებში იყო, გოლოვინის პროსპექტზე.

აქვე, რედაქციაში, ბინადრობდა „დროების“ მუდმივი თანამშრომელი ალ. ყაზბეგი, თავისი განუშორებელი „ეკაო“-თი (მიომუნი), რომელსაც აკაკი ხუმრობით რედაქციის რძალსა და „წიგერს“ უძახოდა.

რედაქციაში ცხოვრების დროს სწორედ ცუციფლივარ მოწამე ყაზბეგის მუდმივი მუშაობისა, როდესაც ის უკვე დაწყებულს და „დროებაში“ დაბეჭდილ მოთხრობის გაგრძელებას სწერდა, ან კიდევ რომელიმე სხარტულსა და დროს შესაფერ ფელეტონს. ამ დროს მისი „ეკაო“ იქვე გვერდით უჯდა მაგიდაზე და ხან თავს უხილავდა, ხან ხელებს უჯდავდა. ამის ალერსი მუშაობას არ უშლიდა.

ღიბს, ყაზბეგის ასეთის მუშაობის ხშირი მოწამე ვიყავი და აუკარად უნდა ვსთქვა, რომ ამ დროს არასოდეს არ შემიზინწავს, რომ იმას „გულის ჯიბიდან რამე ნაწერები ამოეღო“, რომ ის ჩემის თვალის წინ სწერდა დადენს და იქვე—კარზე მომდგარ სულთამხუთავით ამწყობს აძღვედა ხოლმე.

უკვე მოგვხსენებთ, რომ „დროების“ თანამშრომლები არც იმ დროს და არც შემდეგ გონორარს არ იღებდნენ თავის ნაწარმოებებისთვის.—ყველა უფასოდ სწერდა და მუშაობდა.—თუმც ამასთან ხშირად ცუციფლივარ მოწამე შემდეგი გვარი გონორარის მიცემისა.

რედაქციაში შემოდის აკაკი. რედაქტორი სერგეი მესხი მაგიდას უზის და კორექტურას ასწორებს გახუთისას.

—სერგეი, სადილის ეპი მოახლოებულ არს და ფული იოხტურ?

- სთქვი, რალა, რამდენი გინდა?
- ერთი ან ორი მანეთი!
- ბატონი ხარ, მაგრამ აი მაგიდა, ჩაუჯექი და ერთი ცხელ-ცხელი ამბავი გამოაცხე, რომ ხვალინდელ ნომერში დავბეჭდო.

აკაკი მიუჯდება მაგიდას და სწერს დღის ვარამზე ფელეტონს „ცხელ-ცხელ ამბავის“ სერიიდან,—ერთს საა-

ქართველ მხატვართა გამოფენა



ივანე პატრიძე—ვაჟა ფშაველა.

თში ფელეტონი მზათა და აკაკი ლებულოვს სამ მანეთს „გონორარს“.

ამგვარივე „გონორარის“ მიმღები იყო სანდრო ყაზბეგიც.

სადილობისას სანდრო დაღვრემილი შემოდის რედაქციაში და ეუბნება სერგეის:

- სერგო, დღეს სადილი არ გვინდა?..
- აი, თუ გინდა, მაგრამ მეც რომ „გულუჯას“ ვაგრძელება მინდა? ჩაუჯექი რა გვარა გაგრძელებას, რომ ხვალ ფელეტონით იკმაროს და სადილის ფული ორი მანეთი, ჩემს კისრზე იყოს...

მოწამე ცუციფლივარ, რომ სანდრო ყაზბეგიც ხშირად ამგვარ გონორარს იღებდა, იქვე რედაქციაში დაწერილი შრომისათვის, მაგრამ არაოდეს არ შემიმჩნევია—ვიმოკრებ, რომ ის კითხვით სხვის ნაწერებს იღებდა გულის ჯიბიდან და თავის ნაწარმოებად ასაღებდა.

რედაქციაში ცუციფლივარ ბევრნი შემოდის და ამით შორის აკაკი ხომ დღე-მუდამ.—ჩვენი სათაყვანებელი პოეტი ერთობ ენა კვიმატი კაცი იყო, თან ერთობ დაკვირვებულ და ამას რომ რამე თალღითთა შეემჩნია ყაზბეგისათვის მწერლობაში, განა დაფარავდა?..

ივ. მესხი.

ჩემი მოგონება

სანდრო ყაზბეგის შესახებ ატეხილმა აურ-ზაურმა მეც ამაღებინა ხელში ქალმა.

ლიზა ყაზბეგს დაახლოვებით ვიცნობდი, მეგობრული განწყობილება გვექონდა და არც ერთხელ ეჭვითაც კი არა უთქვამს-რა. იმას კი ამბობდა, რომ რადღაც დიმიტრის სიკვდილის დროს შინაურებში პირველად სანდრო დაესწრო, ვითომ მას გაეღოს განჯინა, სადაც დიმიტრის ქალაქდები ჰქონდა შენახული და ეს იწვევს განვაშაო. „ამხანაგობამ“ რომ გამოსვსა სანდროს სრული თხზულება, ლიზამ მომიტანა 20 წიგნი სანდროს სახელის სახსრად. „განათლების“ სკოლის შესაწირად. ეს იმას ნიშნავდა, რომ ის იყო გამგე სანდროს პატივის გასავრცელებლად.

მე როგორც რედაქტორი „ქვალისა“ და „ჯეჯულისა“ ახლო ვიდექ სანდროს სიკვდილის და დამარხვის დროს. ქალებს კიდევ გვიწოდებდნენ გამოგვეცა „ელისო“ დამარხვის დღეს ხალხში გასავრცელებლად, მაგრამ „ამხანაგობამ“ ნება არ მოგვცა და არაივის ეჭვი არ ებადებოდა, რომ ნიჭიერი ნაწერები მისი არ იყო და თუ ორიოდ ვინმე სისინებდა, — არაფერად ვავებდით.

განა მოიპოვება ისეთი მწერალი, რომ მისი თხზულება არ იყოს ზოგი სუსტი და ზოგი კი უფრო ნიჭიერი, მეტადერ როდესაც ვიცი თ სანდროს მოუწყენარი და ავადმყოფური ცხოველი.

ყოფილი რედ. „ქვალისა“ და „ჯეჯულისა“ ან. თუმანიშვილი — წერტილისა.

ჩემი მოგონება ალექსანდრე ჯავახიშვილზე

1882 წლიდან მე ვმსახურობდი ქართულ დრამატული დასში მსახიობად. აქვე იყო მსახიობად ალექსანდრე ყაზბეგცი, როგორც ამხანაგი ის იყო მშვიდი, წყნარი, ზრდილი და საშუალო ნიჭის პატრიონი მსახიობი.

ერთხელ დაიდგა პიესა „ქოროლი“ სადაც ორივენი ვიღებდით მონაწილეობას. სანდრო ყაზბეგს ჰყავდა მაიმუნი „ფაკო“ და ის ყოველთვის რეპეტიციაზე დადიოდა იმ მაიმუნთან. სანდროს რეპეტიციის დროს ვერაფერ ახლბდა ხელს, რადგან მაიმუნი მისავარდნად დაემზადებოდა ხოლმე.

ამიტომ ჩვენ საერთოდ ვთხოვეთ მაიმუნი აღარ მოეყვანა რეპეტიციაზე. და ეს თხოვნა ავგისრულა სანდრომ. წინა დღეებში მე წვაკითხე მისი მოთხრობა „განკიცხული“ და როცა მოვედი რეპეტიციაზე დიდი აღტაცებით მივმართე მე სანდროს და უთხარა, მე არ ვიცოდი რომ ასეთი ნიჭიერი მწერალი ყოფილხარ მე თქუი, რად გინდა შენ სცენა, დაანებე თავი და მიმართე შენს უკვდავ კლამს მეთუი.

სანდრომ ამაზედ მიპასუხა: „მაშ თუ ავრე მოგვეწონა ჩემი ნაწერი, ამა რეპეტიციას რომ გვათავებთ, წამოდი ჩემთან და წვაკითხე რამდენიმე ნაწერსო. მაქვს დაწერილი „ფათი“ „ნინო“ და „მამის მკვლელობა“.

მე და ბებო ავალიშვილის ქალი წავედით მასთან. ის იდგა თეატრის პირდაპირ სარაჯიშვილის სახლში, სანდროც ჩვენთან იყო. და როდესაც სანდრომ ოთახის კარა გააღო, ჩვენს თვალს წარმოუდგა საშინელება რამ წიგნები მთლად იატაკზედ ეყარა, ქალაქდების ფურცლებით მოფენილი იყო იატაკი და გახეული ბალოშის ბუმბულით ოთახი მთლად მოფენილი იყო.

ამს რომ ჩვენ ოთახში ვვლარ შევედით. სანდრომ კი ამის დანახვაზე გულ-კეთილად გაიცინა და გვითხრა: „ეს უთუოდ ჩემი „ფაკოს“ ოინებია, რადგანაც რეპეტიციაზედ აღარ წამოვიყვანეთ“. ჩვენ უკან დაბრუნდით და სანდრომ რამდენიმე დღის შემდეგ მომიტანა რვეული, სადაც იყო დაწერილი: „ნინო“ „ფათი“ და „მამის მკვლეობა“ დასაწყისი რამდენიმე თავი.

მსახიობი ქეთო ანდრონიკაშვილი.

საბაკრიძელის მუზეუმის ზოოლოგიური განყოფილება

საქართველოს მუზეუმთან გაიხსნა ზოოლოგიური განყოფილება.

ასეთი განყოფილების დაარსების იდეა დაიბადა ორი წლის წინათ, მაგრამ მისი განხორციელება დღევანდლამდე არ მოხერხდა სათანადო თანხების უქონლობის გამო. ზოოლოგიური მუზეუმები არსებობენ კულტურულ ქვეყნებში. მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის გარეულ ცხოველთა გაცნობის საქმეში.

ამიერ-კავკასიის, კერძოდ საქართველოს ტყეები მდიდარია სხვადასხვა ცხოველებით. ჩვენს საზოგადოების დიდი ნაწილი კი არ იცნობს მათ.

ამ მხრივ ზოოლოგიური განყოფილების მოწყობა დიდი მნიშვნელობა.

განყოფილება მოთავსებულია მუზეუმის შენობის ოთხ სართულში. ცხოველები დანაწილებულია შემდეგი სისტემის მიხედვით: ამიერ-კავკასიის თვითეულ კუთხეს მიჩინ-

ლი აქვს ცალკე ოთახი, სადაც ხელოვნურად მოწყობილ შესაფერ ბუნებაში მოთავსებულია ის ფრინველები, რომელშიც ამა თუ იმ რაიონში მოიპოვებიან.

თვითეული ოთახის წინ მიკრულია წარწერები (ლათინურ, ქართულ და რუსულ ენაზე) რაიონის, ცხოველების და ფრინველების სახელწოდების აღნიშვნით.

პირველ სართულში მოწყობილია სამი განყოფილება: ამიერ-კავკასიის ტბების და ქობების ფრინველების (გედი, წულის ბუღა, იხვი, თეთრი-შულა ბატი და სხვა), ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის ველები (ჯეირანი, კავკასიის ქუ, წერო-ტუოვა, კაქკუკი და სხვა) და მგლები ხაუჯანების.

იშვიათი სილამაზითაა მორთული ეს უკანასკნელი განყოფილება. ფონათ აღებულია ზამთარი. ოთახში ზამთრის მთავარიანი ოამის სრული ილუზია მოცემულია. ის, რის ხელოვნურად შექმნა შეუქმებელი იყო, აღუთქვანება მხატვრის გამოცდილ ხელს.

ქართველ მხატვართა გამოფენა



ვახტანგ კოტეტიშვილი—ქვის ნეგა.



გრიგოლ ვეშაპალი. ნაიციონალისტური პარტიის ყოფილი ბელადი, ამჟამად სემს პარიზში გახ. „ახალ საქართველოს“, სდგას საბჭოთა პლატფორმაზე და მოუწოდებს ქართველ ემიგრანტებს საქართველოში დაბრუნებისაკენ.

ასეთ ფონზე მგლები ცოცხლებივით გამოიყურებიან. მგლების გარდა ჩვენ აქ ვხედავთ ტყის ბუს და ღიღ ყურა ბუს.

შემდეგ მიდის მცირე კავკასიის მთები და გორები. მოზრდილ ოთახში მოწყობილია ხრიოკი, ხავს მოკიდებული მთები, სადაც მოთავსებულია ამიერ-კავკასიის აფთარი (გიენა), ორბი, სვავი, ფასქუნჯი და სხვა ფრინველები.

კედელზე დახატული სურათები და მთელი მოწყობილობა ხეობის სრულ შთაბეჭდილებას იძლევა.

აქვე კედელზე გამოფენილია აფრიკის ცხოველების რკები, რომლებიც მნახველის ყურადღებას იპყრობს თავისი სიღიდი და სილამაზით.

მხატვრულათ არის დალაგებული ზემო-სანეთის (საინტერესოა დაღესტანის ჯიხვი, კავკასიის არჩვი, კავკასიის შურთხი—горная индейка) და ამიერ-კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის მთების განყოფილებები.

მაგრამ ყველაზე უფრო ლამაზი და საინტერესოა ის ოთახი, სადაც მოთავსებულია შარშან ტყვილისის ახლოს გლეხების მიერ მოკლული უზარმაზარი ვეფხვი.

ის გარშემორტყმულია მისი საყვარელი ბუნებით ლენქორანის ჩალა მდებრით (კამიშებით), რომლის ფონზე მისი ქრელი ტყავი იშვიათი სილამაზით ბრწყინავს.

მესამე საოთულში მოთავსებულია ჯიშის და სისტემების მიხედვით დალაგებული ფრინველები და ცხოველები. 6 კარადა (შკაფი) ქალაქებით (დაივების, მგლების, ჯიხების და სხვა).

2 ვიტრინაში გამოფენილია ის ქია-ლუები და პეპელები, რომლებიც კავკასიის ფარგლებში მოიპოვებიან. 2 ვიტრინაში ჩალაგებულია ფრინველთა კვრცხები და ბუდეები.

ერთ ოთახში კი სპირტით საყენ შუშებში მოთავსებულია სხვადასხვა გვარი თევზები, ანუბიბები და ქვეწარმავალები.

აქვე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვეშაპის ჩონჩხი, რომლის სიგრძე დაახლოებით 7—8 არშინი იქნება. ეს ვეშაპი გამორჩეული ყოფილა ბათიში 1880 წელს.

მეთოთხე საოთულში მოთავსებულია ზოოლოგიური განყოფილების ლაბორატორია.

განყოფილება საუცხოოო შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. სხვადასხვა ჯიშის ცხოველების და ფრინველების სიმრავლით და საერთო მოწყობილობით ჩვენი ზოოლოგიური განყოფილება არ ჩამოუვარდება რუსეთის და ევროპის საუკეთესო ზოოლოგიურ მუზეუმებს.

სურათები ყოველგან შესრულებულია მხატვარ ვეფხვადის მიერ. საფრთხულების დაღმა ეკუთვნის ტაქსიდერმისტ კ. კ. კრელს. ჯგუფების დალაგება და ცხოველების და ფრინველების ქართული სახელწოდების გამოჩახვა შესრულებულია განყოფილების გამგის ი. ჩიციკიშვილის მიერ.

ქ რ ო ნ ი კ ა

საქართველოს კინო-მარწველობა.

საქართველოს კინო-მარწველობამ განიზრახა თავისი კინო-სურათების მოპოლიარიზაციის და წარმოების გასაფართოებლად გახსნას კინო განყოფილებები ქ. მოსკოვსა და ლენინგრადში.

კინო-გაზეთები ქართულ ენაზე.

დეკემბრის ნახევრიდან ტფილისში იწყებს გამოსვლას ქართულ ენაზე „კინო-გაზეთი“. გაზეთში დასურათებული იქნება სახელმწიფო კინო-მარწველობის ყველა კინო-სურათების დაღმები. აგრეთვე მოთავსდება კინო-



სკენარების შინაარსი და სპეციალური წერილები კინო-ხელოვნების შესახებ.

ან. ფრანსის დასაფლავება ეკრანზე.

უახლოეს მომავალში ტუმილის კინო-თეატრში ნაჩვენები იქნება „ანატოლ ფრანსის დასაფლავება პარიზში“. კინო-სტუდია.

სახელმწიფო კინო-ბრწყველით და საქ. პროლეტკულტის კინო-სტუდიაში შეცადინებომა დაიწყება 15 დეკემბრიდან.

სახელმწიფო ოპერა.

მიმდინარე სეზონში სახელმწიფო საოპერო სკენაზე განახლდება ვაგნერის ოპერები. „ტანგეიზერი“ და „ტრისტან და იზოლდა“. ამის გარდა დაიდგმება ახალი ოპერა „ტრანი“ და ახლად გადაკეთებული რევილიუციონერ შინაარსზე პუჩინის „ტოსკა“, რომელსაც ეწოდება „კომუნისტის ბრძოლაში“.

ქართული ოპერები.

წელს სახელმწიფო საოპერო სკენაზე ქართულ ორიგინალურ ოპერების გარდა განზრახულია დაიდგას ნათარგმნი ოპერებიც.

აკადემიური დრამა.

აკადემიური დრამის უახლოეს პრემიერად დანიშნულია ფრანკ ვერდელის დრამა „შვილკუნძუნი“, ნათარგმნი სანდრო შანშიშვილის მიერ.

ქართველ მსახიობთა კოლექტივი.

ქართულ მსახიობთა კოლექტივი უახლოეს მომავალში დასდგამს დ. ნახუციშვილის პიესას: „პაატა ბატონიშვილი“, შემდეგ ამათ დაიდგმება რ. როლანის პიესა „დანტიანი“ და შექსპირის „მეფე ლირი“.

წითელი თეატრი.

წითელ თეატრში პროლეტკულტის ქართულ დრამატულმა სექტორმა დასდგა უკვე ორი პიესა „დაჰქაის აჩრდილი ვეროპაში“ (დ. კობახიძის რეჟისორობით) და „გესმის მოსკოვი“ (ვახტანგ გარბაიის რეჟისორობით) უახლოეს მომავალში დაიდგმება: რომენ როლანის პიესა „ბასტილის აღება“ (საფრანგეთის რევოლუციიდან), „ჯანი გურიანი“ (დასდგმა წუწუნავის) და „ცხვის წყარო“.

ბიბლიოგრაფია

ი. ჯიშარიანი. აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის.

აგეროს ამ პატარა წიგნში, რომელიც სულ რაღაც 19 გვერდს შეიცავს, ეხება საპეციალისტებისთვის საინტერესო აზიისა და კავკასიის სახელწოდებების წარმოშობის საკითხს და აყენებს საკუთარ ორიგინალურ პიპოტეზას. თანამედროვე მეცნიერებაში განმტკიცებულია აზიი, რომ სახელწოდება „აზია“ წარმოსდგება ასურულ სიტყვისაგან „assu“-საგან, რაც აღმოსავლეთს ნიშნავს.

აეტრონი გვეს ჭევე აყენებს ამ პიპოტეზას და ფიქრობს, რომ ეს სახელწოდება უნდა დაუკავშიროთ აფხაზურ სიტყვას „acū“ ან აფაზურ სიტყვას „hāzo“-ს, რაც ნიშნავს თოვლს. ამ პიპოტეზას სიძლიერეს აძლევს ის მონათხრობები, რომ ვერად-წოდებული აზიის ველი გაქიმული იყო მთა თომლის სამხრეთით, ხოლო სახელწოდება „თომლი“ წარმომდგაროა უნდა იყოს ქართული სიტყვა „თოვლისგან“.

ქართული თეატრის 75 წ. იუბილე.

წელს 2 იანვარს 1925 წელს სრულდება 75 წელი რაც დაიწდა ქართული მუდრულდა სკენა. აკადემიური დრამა და ქართველ მსახიობთა კოლექტივი უკვე შეუდგა ამ დღისთვის სამზადისს. 2 იანვარს გამოვა სპეციალური ჟურნალი „სახიობა“.

მოსკოვის დიდი თეატრის იუბილე.

მომავალ წელს იანვარში სრულდება ასი წელი რაც ააშენეს მოსკოვის დიდი თეატრის შენობა. მოსკოვის დიდი თეატრი ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო თეატრად ითვლება.

მოსკოვის კამერულ თეატრის იუბილე.

წელს დეკემბერში შესრულდა 10 წელიწადი რაც დაარსდა მოსკოვის კამერული თეატრი. თეატრს ამ ათი წლის განმავლობაში მუდმივად ემსახურებოდნენ მსახიობნი: კოონენ, არკადინა, უფროვი და რეისონი თაიროვი.

„ჰამლეტი“ მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრში.

მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრმა (ყოფილმა პირველმა სტუდიამ) დასდგა შექსპირის „ჰამლეტი“. ჰამლეტის ახალ შემსრულებელმა მსახიობმა ჩეხოვმა დიდი კამათი გამოიწვია თეატრული წრეებში. მთავრობიდან მ. ჩეხოვმა მიიღო დამსახურებულ მსახიობის სახელწოდება. მხოლოდ პრესამ ერთხელ აღნიშნა საერთოდ მთელი წარმოდგენის დიდი მხატვრული ღირებულება და თეატრის გამაოჯგება.

დ. პუჩინის გარდაცვალება.

გარდაიცვალა ცნობილი იტალიელი კომპოზიტორი დ. პუჩინი, აეტორი პოპულიარული ოპერების: „ტოსკა“ „მადამ ბატერფლი“, „ბოლემა“ და სხვ.უცნაუნელ ხანში მან დასწერა ახალი ოპერა: „პრინცესა ტურანდოტ“. პუჩინი თანამედროვე იტალიელ კომპოზიტორების შორის ყველაზე ნეკტივი კომპოზიტორი იყო.

ქართული კინო-ფილმები გერმანიაში.

გერმანიაში ამ ჟამად დიდ ფურორს ახდენს საქართველოს კინო-ბრწყველობის ფილმები „არსენ ჯორჯიაშვილი“ და „სურამის ციხე“.

რაც შეეხება სახელწოდება „კავკასიის“ მისი წარმოშობის შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს. აგრონი ამ საკითხს იოლად სჭირს და ფიქრობს, რომ ეს სიტყვა წარმოსდგება შესატყვისი აფხაზური და აფაზური სიტყვებიდან, რაც ნიშნავს „თეთრი-თოვლიანს“. ამის ამ სახელწოდებების წარმოშობის მეორე შესაძლებლობაც. აფხაზეების მეზობელ სვანებში დღესაც ცოცხალია სიტყვა „კავკასი“, ბრწყინვალეს, მოწმენდლის მნიშვნელობით. ქართულ ენაშიც იხმარება სიტყვა „კას-კასიან“. მოკასკაშვილი, რაც მოწმენდლის, ბრწყინვალეს ნიშნავს. ჯიშარიანის ეს პიპოტეზები საყურადღებოა იმიტაც, რომ მისი შრომა წარმოადგენს ცდას, რომ „კავკასიის“ და „აზიის“ სახელწოდებათა წარმოშობის საკითხი გადაჭრას ქართველებისა და მისი მონათხროველებების ენების საშუალებით. წიგნს დიდი პატივი აქვს უძეგუეს საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ქართ. ფასი არაა აღნიშნული. X.

